# საქართველოს რესპუბლიკა


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ფლიდობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

 
დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 25 სექტემბერი, 2008 წელი.
№ 180 (6038)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.

# მკვახე სიტყვა



დროულად გადადგით ხალხის მდგომარეობის გამოსასწორებელი ნაბიჯები, დროულად კი არა, სასწრაფოდ, თორემ მეტყევე, ანუ ქართველი ხალხი მოვა. მოვა და...

3-4



## მწარე სიმართლე – დაუფარავად!..

რით ახსნით იმას, რომ ქვეყნისა და ერისთვის თავდადებული, ცოტნე დადიანის ზნეობის დონის გმირი ჟიული შარტავა მეგობრებთან ერთად შეატოვეთ გააფთრებულ მოწინააღმდეგეს მაშინ, როდესაც აფხაზეთის ტრაგედიის ერთ-ერთი აღიარებული ანტიგმირი წინასწარ გამოიყვანეთ სამშვიდობოზე და დააწინაურეთ, როგორც ვალმოხდილი გმირი? მაშინ როდესაც სოხუმი უკვე ეცემოდა, რატომ არ მიეცით ჟიული შარტავას განკარგულება, თანმხლებ პირებთან ერთად დაეტოვებინა მთავრობის სასახლე და გამოსულიყო სამშვიდობოს

3-4

## არასდროს დავთმობთ თავისუფლებას, არც არასდროს დავნებებულვართ და არც დავნებდებით

2





## ქობულეთი – რკინაბეტონის „ჩოხა-ახალუხში"

9

## რუსეთის საექვო დუმილი და მოტყუებული ქართული დაზვერვა

9

## აფხაზეთი: ოსნებები ნანგრევებზე

8



## მართლა შეწყდება თუ არა საქართველოში ყაზახური ინვესტიციები?

5



პრეზიდენტი

# არასდროს დავთმობთ თავისუფლებას, არც არასდროს დავნებებულვართ და არც დავნებდებით



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მსოფლიოს გაეროს პრინციპების დაცვისკენ მოუწოდებს.

სააკაშვილის განცხადებით, ამ ეტაპზე საერთაშორისო საზოგადოების ერთიანობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს პროცესები შეიძლება მთელ მსოფლიოზე გავრცელდეს, სააკაშვილმა კიდევ ერთხელ ისაუბრა იმ აგრესიაზე, რომელიც რუსეთმა საქართველოში განახორციელა. სააკაშვილის შეფასებით, ოკუპანტებთან ბრძოლის გამარჯვება საქართველოსთვის ახალი ვარდების რევოლუციის ტოლფასი იქნება, რომლის შემდეგ ეს ქვეყანა კიდევ უფრო თავისუფალი და დემოკრატიული გახდება.

– დიდი მადლობა, რომ მომეცა საშუალება გაეროსთვის და ჩემი ქვეყნისთვის ასეთ კრიტიკულ მომენტში გამოვსულიყავი. წარმოვადგენ საქართველოს, ქვეყანას, რომლის მოსახლეობა სულ 5 მილიონია. ერთი თვის წინათ ჩვენთან შემოიჭრა სხვა სახელმწიფო, რამაც პოლიტიკური და სხვა ხასიათის პრობლემა წამოჭრა. პრობლემები მართლაც დიდია ჩვენი ქვეყნის მცირე ზომის მიუხედავად. დაირღვა გაეროსა და მთელი საერთაშორისო სამართლის ასეთი საყრდენი პრინციპები, როგორიც ადამიანის უფლებათა და ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვაა. აგრესიამ შელახა დამოუკიდებელი საქართველოს საზღვრები. აგრესიის დაწყებისთანავე ვუთხარით აგრესორებს, რომ ქართველი ხალხის სულს ასე ვერ გატეხენ. არასოდეს დავთმობთ თავისუფლებას. არც არასოდეს დავნებებულვართ და არც დავნებდებით, –განაცხადა სააკაშვილმა და დასძინა, რომ შემდგომი ეტაპი საქართველოს დასჯის მიზნით რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარება იყო.

რუსეთმა სამხრეთ ოსეთი აღიარა, სადაც 20 000-მდე ეთნიკური ოსი ცხოვრობს და აფხაზეთი, სადაც 50 000 ეთნიკური აფხაზი ცხოვრობს. ამ ფაქტმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ზოგადად საერთაშორისო სამართლის პრინციპები. 100 000-ობით ქართველი ეთნიკური წმენდის მსხვერპლი გახდა, დაირღვა ადამიანის უფლებების დაცვის იდეა. ამ ყველაფერმა გენერალური ასამბლეა დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა. მოგიწოდებთ, გამოხვიდეთ არა მარტო მილიტარისტული აგრესიის წინააღმდეგ, არამედ დაგმოთ აგრესია მისი ნებისმიერი გამოხატულებისა. უნდა გაიცეს პასუხი კითხვებზე – იქნება თუ არა ეს ორგანიზაცია ფუნდამენტური პრინციპების დამცველი, დაიცავს თუ არა ის ქვეყნებს ტანკების შეჭრის, ეთნიკური წმენდისა თუ კიბერნეტიკული შეტევებისაგან. უნდა შევიმუშავოთ პოლიტიკა, რათა არ დავუშვათ ამ რეგიონების აღიარება, უზრუნველვყოთ, რომ ყველა მხარე დაემორჩილოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას, უნდა შემუშავდეს პროცესი, რომელიც დაეხმარება საქართველოს მისი საზღვრების აღდგენაში. ჩვენ მზად ვართ საერთაშორისო საზოგადოების მთელი ძალა გამოვიყენოთ. ეს კრიზისი საფრთხეს უქმნის საერთაშორისო საზოგადოებას. ჩვენ არ ვაპირებთ ჩარჩოებში ჩაკეტვას, რადგან როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოს, არაფრის გვეშინია , – განაცხადა სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გაეროში გამოსვლის შემდეგ, გაეროს შენობასთან შეკრებილ აშშ-ში მცხოვრებ ქართველებთან მივიდა.

ისინი გაეროს შენობასთან საქართველოს მხარდამჭერი პლაკატებით იყვნენ მისული. მიხეილ სააკაშვილმა მათ სიტყვითაც მიმართა და დაპირდა, რომ ქვეყნის საკეთილდღეო საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

ინტერპრესნიუსი

ინფორმაცია

## ევროკავშირის წევრები შიდა ქართლში ჩავიდნენ

**ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წევრები გორში გუშინ ჩავიდნენ. პირველი შეხვედრა შიდა ქართლის გუბერნატორთან ლადო ვარძელაშვილთან გამართეს.**

სადამკვირვებლო მისიას გერმანიის წარმომადგენელი ჰენს-იორდ ჰაბერი ხელმძღვანელობს, მისი მოადგილე კი ჟან ვიერ ჟილესია. მისიის წევრები გაეცნობიან შიდა ქართლში არსებულ მდგომარეობას და 1-ელ ოქტომბრამდე განსაზღვრავენ, კონფლიქტის ზონის რომელ წერტილებში მოხდება მათი განთავსება.

ამ დროისთვის საქართველოში მისიის 22 ქვეყნის წარმომადგენელია ჩამოსული, პირველ ოქტომბრამდე კი საქართველოში 200 დამკვირვებელი იქნება მობილიზებული.



ჰენს-იორდ ჰაბერმა უკვე გააკეთა პირველი კომენტარი. მისი განცხადებით, აღნიშნული მისია, ძირითადად, სამოქალაქო სადამკვირვებლო ჯგუფს წარმოადგენს, ეს არ არის ძალოვანი უწყება და განსაზღვრავენ, თუ სად განთავსდებიან მისიის წარმომადგენლები. მანამდე დაგეგმილია შეხვედრებისა და ტრენინგების გამართვა და მოხდება ჩამოყალიბება ამ სადამკვირვებლო მისიის მუშაობის.

რაც შეეხება სეპარატისტების წარმომადგენლებს, ისინი ჯერჯერობით აცხადებენ, რომ სადამკვირვებლო მისიას, შესაძლოა, არ მიეცეს კონფლიქტის ზონაში ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე მუშაობის საშუალება. თუმცა, მისიის წარმომადგენლების თქმით, საქართველოს უპრეცედენტო მხარდაჭერა აქვს მსოფლიოს უამრავი ქვეყნის მხრიდან და მათ აუცილებლად უნდა შეძლონ კონფლიქტის ზონაში ამ მისიის შესრულება.

## ეუთოს იმედი აქვს, რომ რუსეთ-საქართველოს შორის დიალოგი განახლდება

**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალურ დელეგაციას, რომელიც რუსეთში სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით მოხსენების მოსამზადებლად ჩავიდა, იმედი აქვს, რომ რუსეთ-საქართველოს შორის დიალოგი აღდგება, განაცხადა დელეგაციის ხელმძღვანელმა ლუკ ვან დენ ბრანდემ რუსეთის დუმას ქვედა პალატის სპიკერ ბორის გრიზლოვთან შეხვედრისას.**

– ჩვენი ამოცანა დიალოგის შენარჩუნებაა. სწორედ დიალოგია ის წვლილი, რომლის შეტანაც ჩვენ შეგვიძლია. ჩვენ გაუფრთხილებლად მოვედით და მზად ვართ ორივე მხარის პოზიციები მოვისმინოთ, – განაცხადა ლუკ ვან დენ ბრანდემ.

დელეგაციის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ რუსეთი და საქართველო ევროპის საბჭოს ქვეყნებია და მათ, ამ ორგანიზაციის ფასეულობები უნდა გაიზიარონ.

## სააკაშვილმა გაეროს ტრიბუნიდან იმაზე მეტი თქვა, რაც შესაძლებელი იყო

**პოლიტოლოგ ზურაბ დავითაშვილის შეფასებით, საქართველოს პრეზიდენტმა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლისას საქართველოში მოსკოვის მოქმედებებთან დაკავშირებით მსოფლიოს რუსეთისაგან მომავალი რეალური საფრთხე დაანახა.**

მისივე თქმით, პრეზიდენტმა სააკაშვილმა გაეროს გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან იმის მაქსიმუმი თქვა, რისი თქმაც შეიძლებოდა, მთელ მსოფლიოს ნათლად დაანახა, რომ თუ რუსეთის მიერ საქართველოში გადადგმული აგრესიული ნაბიჯები, აგრესია და ქვეყნის ტერიტორიების ანექსია დაუსჯელი დარჩა, მსოფლიოს, რუსეთის სახით, რეალური საფრთხე ემუქრება.

დავითაშვილის აზრით, გაეროს ასამბლეა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გატარებული აგრესიულ პოლიტიკასთან დაკავშირებით სპეციალურ რეზოლუციას მიიღებს, რომელშიც მოსკოვის მოქმედებები დაგმობილი იქნება და ცალსახად მოუწოდებს რუსეთს შექმნილ ვითარებაში საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად, საერთაშორისო სამართლის ნორმების სრული დაცვით მოძებნოს სამართლიანი გამოსავალი.

## ირანის პრეზიდენტის აზრით, აშშ-ს ჰეგემონია მალე დასრულდება

**საქართველოს, სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ხალხები ნატოს პროვოკაციული მოქმედებების მსხვერპლნი გახდნენ, – განაცხადა ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჟადმა გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას.**

– საქართველოს, ოსეთის და აფხაზეთის ხალხთა ცხოვრება, საკუთრება და უფლებები ნატოს და გარკვეული დასავლური სახელმწიფოების პროვოკაციების და ტენდენციების მსხვერპლები გახდნენ, – განაცხადა მან.

მაჰმუდ აჰმადინეჟადი ასევე თვლის, რომ აშშ-ს ჰეგემონია მსოფლიოში დასასრულს უახლოვდება. დღეს სიონისტური რეჟიმი კოლაფსისკენ ახლოსაა. ამერიკული იმპერია საკუთარი გზის დასასრულს უახლოვდება, – აღნიშნა ირანის პრეზიდენტმა.

## ლიტველები განნაღმავენ

**ლიტვიდან საქართველოში გამნაღმველთა ჯგუფი ჩამოვა, რომლებიც რუსეთის ჯარის მიერ საქართველოს ტერიტორიებზე დატოვებული ნაღმების გაუვნებელყოფაზე იმუშავებენ. ამ გადაწყვეტილების შესახებ თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბათუ ქუთელიასა და სეიმის წარმომადგენლებს შორის გამართული შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი.**

როგორც ქუთელიამ შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, საუბარი არა წარსულში არსებულ პრობლემებს, არამედ სამომავლო განვითარების გეგმებს ეხებოდა.

რაც შეეხება სეიმის დელეგაციის წარმომადგენელს, მან აღნიშნა, რომ ლიტვა მხარს უჭერს საქართველოს ინტეგრაციას ევროატლანტიკურ ალიანსში.

## აფხაზები საზღვრებს ამაგრებენ

**აფხაზეთი საქართველოსთან ე.წ საზღვრის გამაგრებას იწყებს. ამის შესახებ აფხაზეთის სეპარატისტული რესპუბლიკის ხელმძღვანელმა სერგეი ბაღაფშმა სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

– თვე-თვენახევარში ჩვენ დავიწყებთ საზღვრის სამშენებლო სამუშაოებს საქართველოსა და აფხაზეთს შორის საზღვრის გასამაგრებლად. ეს იქნება ნამდვილი საზღვარი, რომელიც ბევრ პრობლემას მოხსნის, – აღნიშნა ბაღაფშმა.

მისივე თქმით, საზღვრის სამშენებლო სამუშაოები მდინარე ენგურის გასწვრივ დაიწყება. ბაღაფშმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ორი ძირითადი რუსული ბაზა განთავსდება.

## ერთმანეთს დაერივნენ

**გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში აფხაზ და რუს შეიარაღებულ პირებს შორის შეტაკება მოხდა.**

როგორც ირკვევა აფხაზები ერთ-ერთი ადგილობრივი ქართველის სახლში შევიდნენ და მას სასმელი და საკვები მოსთხოვეს. შემდეგ დათვრნენ და უმისამართოდ სროლა დაიწყეს. ცოტა ხანში ადგილზე რუსი სამხედროები სიტუაციის გასარკვევად მივიდნენ, რამაც აფხაზების გაღიზიანება გამოიწვია. დაპირისპირებას სროლა მოჰყვა.



როგორც გალის ქართული ადმინისტრაციის წარმომადგენელი თორნიკე კილანავა აცხადებს, ისროდნენ არამარტო ავტომატური, არამედ მსხვილკალიბრიანი იარაღიდან, ყუმბარმტყორცნებიდან, თუმცა ამ ეტაპზე მას არ გააჩნია ინფორმაცია დაღუპულებისა და დაჭრილების შესახებ.

ინტერპრესნიუსისა და ХИ-ЭЙЧ-ЭНИ-ს მიხედვით

◎ მკვახე სიტყვა

*ეს წერილი ერთი ძველი ანეკდოტით მინდა დავიწყო.*

*სამამულო ომის შემდეგ, ერთ დიდ ტყეში პიონერებმა იპოვეს საბჭოთა ჯარისკაცის დღიური.*

*ორშაბათი: ჩვენმა ათეულმა გაანადგურა ფაშისტების ათეული და დაიკავა მეტყევის ქოხი. სამშაბათი: შემოგვიტია ფაშისტების ასეულმა და დაიკავა მეტყევის ქოხი. ოთხშაბათი: შევუტიეთ დივიზიით და დავიკავეთ მეტყევის ქოხი. ხუთშაბათი: ფაშისტების დაჯგუფება „ცენტრმა" გამოიყენა არტილერია, ტანკები და დაიკავა მეტყევის ქოხი. პარასკევი: შევუტიეთ დასავლეთის ფრონტით, გამოვიყენეთ ავიაცია, არტილერია, ტანკები და დავიკავეთ მეტყევის ქოხი. შაბათი: მოვიდა მეტყევე და ყველანი გამოგვყარა.*

# სანამ მეტყევე მოსულა



მას შემდეგ, რაც რუსეთსა და საქართველოს შორის აქტიური საომარი მოქმედებები აღარ მიმდინარეობს, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა გაფაციცებით ადევნებს თვალყურს ე. წ. ქართველი პოლიტიკოსების მიერ საინფორმაციო საშუალებებში გაკეთებულ კომენტარებს და ცდილობს მათი „ბრძნული" შეფასებების საშულებით გასცეს პასუხი ყველასთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან კითხვას – რა იქნება ხვალ?

როგორც ცნობილია ქართული პოლიტიკური სპექტრი სამ ჯგუფად იყოფა.

პირველ ჯგუფს ხელისუფლება წარმოადგენს, მეორე ჯგუფს ე.წ. საპარლამენტო და არანაკლებად „ე.წ." არასაპარლამენტო ოპოზიცია იკავებს. ხოლო მესამე ჯგუფში ქვეყნის ყველაზე „მაგარი", ანუ ყველაზე ავტორიტეტული „ე.წ." პოლიტოლოგები (ან პოლიტიკური ექსპერტები) გაერთიანდნენ.

მთელი ეს პერიოდი მეც თვალყურს ვადევნებდი მათს გამოსვლებში გახმიანებულ „ღრმა ანალიტიკურ დასკვნებს", მომავლის გეგმებს და დავრწმუნდი, რომ ან ეს ხალხი არ არის „არაფრის აზრზე", ან ჩვენ ვგონივართ „არაფრის აზრზე" მყოფნი.

დავიწყებ მესამე ჯგუფის წარმომადგენლებისგან, ანუ ე.წ. პოლიტოლოგ-ექსპერტებისგან.

საქართველო-რუსეთი-ევროპის ურთიერთობების შესახებ, ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, ამ ექსპერტების მიერ გაკეთებული პროგნოზები გაჭრილი ვაშლებივით ჰგვანან ერთმანეთს და ასეთი ფორმა აქვთ: ევროპა გარკვეულ სანქციებს გამოიყენებს რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ აშკარა კონფრონტაციას მოერიდება. ასევე შესაძლებელია, რომ ეს სანქციები გაცილებით უფრო მკაცრი იყოს, ვიდრე აქამდე კეთდებოდა, მაგრამ რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე დიდ გავლენას ვერ მოახდენს. ისე შესაძლებელია, რომ გარკვეული გავლენა მაინც მოახდინოს, რაც ძირითადად სავაჭრო თემა იქნება, ანუ რუსეთი დაიწყებს გარკვეულ ვაჭრობას და დათმობების სანაცვლოდ სხვა რამეს მიიღებს.

ძვირფასო მკითხველო: დასვი ნებისმიერი კითხვა ევროპის როლზე საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში და თუ ზემოთ მოყვანილი შაბლონი არ გამოდგა, საერთოდ აღარ წაიკითხო ჩემი წერილები.

ასევე მინდა მივმართო ჩემს კოლეგებს: ნულარ გაიწვალებთ თავს ამ ე.წ. პოლიტოლოგების ძებნაში. დასვით კითხვა და ამ შაბლონის მიხედვით გაეცით პასუხი. ბოლოს კი შეგიძლიათ ნებისმიერის გვარი მიაწეროთ, რადგანაც მათი აბსოლუტური უმრავლესობა ზუსტად ამგვარ პასუხებს იძლევა (ისე, მეც იმ შვილიშვილივით გამომივიდა, ბაბუას რომ რაღაცას ასწავლიდა. რა, თქვენ ჩემზე უკეთ არ იცით ეს ყველაფერი? მაგრამ რას იზამ, აუცილებელია და...).

მეორე ჯგუფი, ანუ ე.წ. ოპოზიციონერები ხომ საერთოდ კრუხს ჩამორჩენილი წიწილებივით დაბნეულები ჩანან და რაღაც უაზრო მოთხოვნების კასკადს აფრქვევენ ირგვლივ (გუბაზ სანიკიძის, კახა შარტავასა და სალომე ზურაბიშვილის გამოკლებით).

რა ნინო ბურჯანაძე და რის მასთან თანამშრომლობა?

დაგავიწყდათ „ადიალები"?

დაგავიწყდათ 21 აპრილი? დაგავიწყდათ პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის „გაოპოზიციონერების" ნამდვილი მიზეზი?

ვთქვათ და ჩაესვათ ის ათი, თუ თხუთმეტი კაცი იმ სიაში. მაშინ რა იქნებოდა?

ე. ი. თქვენც დაიჯერეთ, რომ საქართველოში ხელისუფლებას ამერიკელები ცვლიან და „სტავკა" ბურჯანაძეზე კეთდება?

კარგით რა!

(პრინციპში არც ახლებს და არც რესპუბლიკელებს ამ „სტავკის" მაინცდამაინც არ სჯერათ. ისინი თავიანთ თავს უფრო მოიაზრებენ მომავალ ხელისუფლებად და ამიტომ „ნელ-თბილ" დამოკიდებულებას ამჟღავნებენ).

რა დროს შვიდი ნოემბრის შემსწავლელი კომისია, ან დემოკრატიული საარჩევნო კანონია!

ომი წავაგეთ ხალხო, ომი!!!

რა მორატორიუმი და რის მდგომარეობის გამოსწორებამდე რადიკალური მოთხოვნებისგან თავშეკავებაა.

იხ. 4 გვ.

◎ ხედვა უცხოეთიდან

# „საქართველომ მთავარი შეცდომა დაუშვა: ის ჩაიციკლა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპზე, ანგარიში არ გაუწია რეალობას, აჰყვა რუსეთს"



## ინტერვიუ ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის ყოფილ პრემიერ-მინისტრ ახმედ ზაკაევთან

**– როგორ შეადარებდით დუდაევისა და კადიროვის დროინდელ ჩეჩნეთს? არსებობს აზრი, რომ ახლა ჩეჩნეთი მოსკოვისგან უფრო მეტადაა დამოუკიდებელი, რადგანაც იქ კადიროვის ბანდიტური ხელისუფლებაა და რუსეთის კონსტიტუციის უფლებამოსილება ჩეჩნეთის ტერიტორიაზე აღარ ვრცელდება.**

– არა, კადიროვს რუსეთი აკონტროლებს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩეჩნეთი დღეს, პრაქტიკულად, მართლაც დამოუკიდებელ ქვეყნად გადაიქცა. ცნობილია, რომ ნებისმიერი დამპყრობი ხელისუფლება თავისსვე დაპყრობილ ტეროტორიას ითვისებს. პირველი ომის დასაწყისში ჩეჩნეთში 500-ზე მეტი რუსი ცხოვრობდა. ახლა რუსები იქ აღარ არიან. ჩეჩნეთი გახდა მონონაციონალური რესპუბლიკა, მას ამჟამად ჩრდილოეთ კავკასიაში დომინირებადი პოზიცია უჭირავს. რასაკვირველია, ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა ამ სიტუაციაში ტაქტიკურად გადაწყვეტილი საკითხია და მისი დამოუკიდებლობის გაფორმებას, უბრალოდ, დრო სჭირდება. რუსებმა წააგეს, რადგან ჩეჩნეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მხოლოდ ჩეჩნების საშუალებით ხორციელდება. 1980-90 წლებში ჩეჩნეთის მთავრობაში კრემლის მსახურები იყვნენ და, ფაქტობრივად, ჩეჩნები მმართველობაში არ დაიშვებოდნენ. დღეს ვერც ერთ რუსს ვერ ნახავთ ჩეჩნეთის ადმინისტრაციებში, რუსებისსავე ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ნებისმიერი პოლიტიკური რყევა, ნებისმიერი ცვლილება რუსეთში ჩეჩნეთის დამოუკიდებლობას იურიდიულად გააფორმებს. ამას მოწმობს ჩეჩნეთის მხრივ გაწეული წინააღმდეგობა, ჩეჩნეთი არაა გატეხილი, მას უარი არ უთქვამს თავისი დამოუკიდებლობის იდეაზე. კადიროვი კი იმ ფუნქციურ მოვალეობს ასრულებს, რაც მას კრემლმა დააკისრა. აღარ მოხდება ამ კონფლიქტის ჩეჩენიზაცია, ჩვენ ამას არ დავუშვებთ და ორ წელიწადში ჩეჩნეთი რუსეთისგან სრულად თავისუფალი იქნება.

**– ხომ არ ფიქრობთ, რომ რუსეთის კომპლექსები ჩეჩნეთში წაგებულმა ომმა გაამძაფრა და მოწყურებული რევანში ისედაც თათდადებულ საქართველოზე განახორციელა?**

– უდაოდ. ამან თავისი როლი შეასრულა. საქართველოს წინსვლის ეიფორიამ რუსეთს დამატებითი ფრთები შეასხა. ქართული არმია დამარცხებული არ იყო, სამხედრო მოქმედებები ლამის დაწყებულიც კი არ იყო, რუსეთმა საკუთარ გამარჯვებაზე დიდი პროპაგანდა რომ გააჩაღა. მათი პოლიტოლოგები მთელს მსოფლიოს უმტკიცებდნენ, რომ რუსეთმა წამყვანი ქვეყნის სიძლიერე აღიდგინა, რომ მას ისე უნდა ელაპარაკონ, როგორადაც წამყვან მსოფლიო სახელმწიფოს. როცა რუსეთს ჩეჩნეთში წაგებულ ომს საყვედურობენ, ისინი საპასუხოდ გამუდმებით აჩვენებენ წაქცეული ქართული ჯარის, ალებული ნადავლის, ნატოს ემბლემების ვიდეო გადაღებებსა და სურათებს. ასეთი ქცევა რუსეთს, რასაკვირველია, ძალიან ცუდ სამსახურს გაუწევს.

**– როგორ ფიქრობთ, საქართველოს ტერიტორიაზე კრემლი ნატოს უფრო შეებრძოლა თუ ამერიკას?...**

– ეს იყო არა იმდენად ნატოს, არამედ კონკრეტულად ერთი ადრესატის – ამერიკის გამოწვევა.

**– აკი ბუშმა, პუტინის თვალებში სიღრმეები დავლანდეო?..**

– პოლიტიკურ საკითხებში მეგობრობა საერთოდ არ არსებობს. მეგობრობა კი არ არის მთავარი, არამედ – ინტერესები. რუსეთის ინტერესი გახლდათ ის, რომ აშშ სრულად არ გაბატონებულიყო შავი ზღვის აუზში. რუსეთს უნდოდა კავკასიის ქედთან ზარბაზნის გასროლის მანძილზე მისულიყო. რუსეთი შავ ზღვას არავის დაუთმობს. ამ ზღვაზე რუსები ასე ადვილად ვერ იტყვიან უარს. თითქოს ლიბერალური გორბაჩოვიც იმისთვის გამოდიოდა, რომ შავი ზღვა არ ყოფილიყო სხვა უცხოური გემებით გატენილი. რუსებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი რეგიონია. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ყირიმის საკითხი არაა დახურული. რუსებმა კარგად იციან, რომ საჭირო იყო ეტაპობრივი მუშაობა. საქართველოში მათ თავიანთი საქმე მოითავეს და ახლა ჯერი უკრაინაზეა. დააკვირდით რუკას: თუ რუსეთი ყირიმსა და აფხაზეთს დაკარგავს, შავი ზღვის აუზში რაღა დარჩება? პირწავარდნილ შოვინისტ რუსთა ამბიციებისთვის შავ ზღვაზე სრული გამეფება მსოფლიო ოკეანეში გასვლაა. კრემლისთვის ეს სტრატეგიული რაიონია და მის დათმობაზე ის არასოდეს წავა.

**– ანუ ზღვა დღეს ისევე მნიშვნელოვანია, როგორადაც ეს ბრიტანეთის ზეობის დროს იყო?**

– ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელსაც მსოფლიო ოკეანეში გასვლის საშუალება აქვს, სტრატეგიულად მომგებიან პოზიციაშია.

**– თქვენი პესიმისტური პროგნოზი უკრაინაზეც ვრცელდება?**

– რუსეთი არ შეცვლილა. ჩვენ თავის თავზე გამოვცადეთ ეს ყველაფერი ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან მოყოლებული. განსხვავება კი იმაშია, რომ დღეს უფრო და უფრო მეტი სახელმწიფოა ჩათრეული ამ კონფლიქტში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩეჩნეთის ცდები მალე მიზნის მიღწევით დასრულდება. თუ ჩვენ 18 წელი ვუძლებდით ამ ზეწოლას – ერთი ერთზე რუსეთთან, დღეს უკვე გაჩნდნენ სხვა ქვეყნებიც, კავშირები, ევროინსტიტუტები, რომლებსაც რუსეთი თავისდაუნებურად ამ კონფლიქტში ითრევს. შეხედეთ კრემლის ეიფორიას, რომელშიც იგი საქართველოს დამარცხების გამო იმყოფება.

**– ირანმა მხარი არ დაუჭირა რუსეთის მიერ სხვისი ტერიტორიის მიტაცებას, ამავე დროს რუსეთი არ აპირებს „ანტიირანულ კოალიციაში" გადაბარგებას. როგორ ფიქრობთ, ამ ვითარებათა ფონზე, რამდენად აქტუალურად დარჩება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა?**

– ახლა ამერიკისთვის საქართველოს საკითხი უკვე აღარ დგას. ახლა ამერიკისთვის მთავარია რუსეთთან მოკავშირული ურთიერთობების განვითარება იმისდა მიუხედავად, რაც დღეს რუსეთმა საქართველოს გაუბედა. არანაირ ანტირუსულ სანქციებს ამერიკა არ მიმართავს. რადგანაც ამერიკისთვის რუსეთი ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეა, ყოველ შემთხვევაში ამერიკა ასე თვლის. მე კი ვთვლი, რომ რუსეთი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რათა ერაყში, ირანში, ავღანეთსა და ჩრდილოეთ კორეაში არსებული კონფლიქტების გადაწყვეტა არამც და არამც მოხდეს. ამერიკელებს ჰგონიათ, რომ რუსეთი აშშ-ს ეხმარება. ეს ამერიკის შეცდომაა. მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსები ყველაფერს ამერიკის საპირისპიროდ აკეთებენ.

იხ. 4 გვ.

## მკვახე სიტყვა

(მესამე გვერდიდან)

ან ვინ არის მდგომარეობის გამომსწორებელი?

„კონფლიქტების მომგვარებელი“ თემურ იაკობაშვილი, „ჰანიბალისა და ჟუკოვის მემკვიდრე“ კეზერაშვილი, თუ პლაჟზე ჩასაცმელი კოსტიუმით ოფიციალურ შეხვედრაზე მისული, საგარეო საქმეთა მინისტრი?

ვინ არის მდგომარეობის გამომსწორებელი?

ქართული ეკონომიკის მესაფლავე ბენდუქიძე, თუ ყოველგვარი ქართულის მტერი ნოდია?

ეგრე რომ ეცლიათ „მდგომარეობის გამოსწორებამდე“, რუსეთში დღესაც რომანოვების დინასტია იმეფებდა და გერმანიაში – ჰოჰენცოლერნების შთამომავლები.

რა დროს საარჩევნო კომისიების წევრების რაოდენობაზე დავაა, როცა ქვეყნის ბიუჯეტი, მხოლოდ ნარკოტიკების მომხმარებელთა ჯარიმებით ივსება.

რა დროს ანტიკრიზისული პროგრამებია, როცა „კარვების ქალაქებში“ ლენინგრადის ბლოკადის დარი ულუფები რიგდება და ამ დროს რესტორნების და კაზინოების წინ, მანქანების დასაყენებელი ადგილებიც არაა.

ხელისუფლებაზე გაიმარჯვეთ, არა?

მიიღეთ ტელევიზიების „გადემოკრატიულობის“ გარანტია?

ვა, რა მაგარია!

შეიძლება დებატებშიც მიგიწვიონ და ტელევიზორშიც გამოჩნდებით.

ომი წავაგეთ!

რაც შეეხება ქართული „პოლიტიკური ელიტის“ პირველ ჯგუფს, ანუ ხელისუფლებას:

აღარ გავიმეორებ დღევანდელი მთავრობის შესახებ, ზემოთ გაკეთებულ კომენტარს.

უბრალოდ მინდა გთხოვოთ: ყველამ საკუთარ გულში გადავხედოთ მათს შემადგენლობას და საკუთარ თავს ვკითხოთ:

# სანამ მეწყერი მოსულა

ტელევიზორში კი არა, „კარვების ქალაქებში“ გამოჩნდით, თუ შეგიძლიათ (მაგრამ მიგიღებენ კი?!).

(ერთადერთნი – ქრისტიან-დემოკრატები ცდილობენ ხალხთან ურთიერთობას და გარკვეულწილად საკმაოდ დადებით ნაბიჯებსაც დგამენ).

კიდევ ერთხელ მინდა შეგახსენოთ:

– არის კი ეს ხალხი დღევანდელი კრიზისიდან საქართველოს გამომყვანი?

აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი პასუხები რადიკალურად განსხვავდება ეკა ხერხეულიძისა და ნუგზარ წიკლაურის პასუხებისგან.

კიდევ არის ერთი, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა:

– კი მაგრამ, ნუთუ სააკაშვილმა არ იცის ეს?

პასუხი ძალიან მარტივია:

– იცის, როგორ არ იცის, მაგრამ დროს წელავს.

ჯერჯერობით ყველაფერი მის სასარგებლოდ, ანუ მისი პირადი ხელისუფლების სასარგებლოდ მიდის.

1. არ არსებობს ისეთი ოპოზიცია, რომელიც შეძლებს რეალური ოპონირების გაწევას.

2. მიუხედავად ანტისახელისუფლებო განწყობისა და ძალიან მძიმე, ფაქტობრივად გაუსაძლისი მდგომარეობისა, პირველ რიგში დევნილებს, ხოლო შემდგომ ქვეყნის მოსახლეობას, მაინც მხოლოდ სააკაშვილის იმედი აქვთ. იმედი აქვთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ვერ ხედავენ სხვა რეალურად დასაყრდენ ძალას.

3. სააკაშვილი თავისი განცხადებებით, საკუთარი მთავრობის ფონზე „ოპოზიციონერად“ ჩანს. აქედან გამომდინარე, მას შეუძლია ნებისმიერ დროს (ანუ მაშინ, როდესაც თავად ჩათვლის საჭიროდ), ხმაურით მოიშოროს ხელისუფლების ნებისმიერი წევრი და ეს ნაბიჯი „ხალხის საკეთილდღეოდ“ გადადგმულ ნაბიჯად ჩაეთვლება.

4. დასავლეთი, როგორც ყოველთვის, ინერტულია საქართველოს პრობლემების მიმართ.

დროის გაწელვაში სააკაშვილს დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯებიც ეხმარება.

საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასის დაცემას, რუსეთში დასავლური ინვესტიციების 22 პროცენტით შემცირებას და სხვადასხვა სახის სანქციას, უდაოდ ექნება გარკვეული შედეგები.

სწორედ ამ „შედეგების მოლოდინს“ გამოიყენებს სააკაშვილი ე.წ. „საშინაო“ პიარისთვის.

მაგრამ აქ გასათვალისწინებელია თავად „რუსული ფაქტორი“.

ამ სანქციას გავლენა ძირითადად რუსეთის ოლიგარქიის ბიზნეს ინტერესებზე ექნება. რაც შეეხება რუს ხალხს, მათი ცხოვრების დონე როგორიც იყო, ისეთივე დარჩება.

რუსი, თავისი მენტალიტეტიდან გამომდინარე „დერჟავისთვის“ ყველაფერს აიტანს (გაიხსენეთ ფრაზა კინოფილმიდან „უდაბნოს თეთრი მზე“: „მნე ზა დერჟავუ აბიდნო“).

ამიტომ რუსეთის ხელისუფლებას ხალხის მხრიდან არაფერი არ ემუქრება. მთავარია, თუ როგორ „დაარტყამს“ დასავლური სანქციები რუსულ ოლიგარქიას.

ჩვენმა ბიზნესმენებმა „მწრაფლ აიტაცეს“ „რუსეთის ეკონომიკის შერყევის“ დასავლური გამოცდილება და რუსული წამლებისა და პროდუქტის შემოტანაზე თქვეს უარი.

რუსულ ენას ბოიკოტი გამოუცხადა ზოგიერთმა პედაგოგმა.

პატრიოტთა ეს აქციები ფართოდ გაშუქდა ჩვენი ტელეეთერით.

(ძალიან საინტერესოა, თუ რა ენაზე მიმდინარეობს მუშაობა ახალქალაქის რაიონის სახელმწიფო დაწესებულებებში და სადაური დენით ანთებენ ნათურებს თავიანთ ოფისებში ის ბიზნესმენები).

ეჰ!!! ჩვენი საშველი არ იქნება.

ამ მატრაკვეცობის პარალელურად, სააკაშვილს აქვს საკმაოდ კარგი რესურსი, რომელსაც მთავრობის შესაძლო ცვლილების დროს გამოიყენებს (დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ეს ცვლილება არც თუ ისე შორეულ პერსპექტივად ჩანს).

ამ ცვლილებებში თავისუფლად შესაძლებელია, რომ ზოგიერთმა „ოპოზიციონერმა ლიდერმა“, „პად ჩუტკიმ რუკავოდსტვომ ნაციონალნოგო დვიჟენია“, „შაჰის ცოლობასაც“ გამოკრას ხელი.

ახლა კი მინდა დავუბრუნდე წერილის თავში მოყოლილ ანეკდოტს და მივმართო ჩვენს პოლიტიკოსებს:

დროულად გადადგით ხალხის მდგომარეობის გამოსასწორებელი ნაბიჯები. დროულად კი არა, სასწრაფოდ, თორემ მეტყევე, ანუ ქართველი ხალხი მოვა. მოვა და...

**გია გაბრიჭიძე.**



## ხედვა უცხოეთიდან

(მესამე გვერდიდან)

**– ანუ ცივი ომის მაგივრად კვლავ ოკუპაციები და მერე განმათავისუფლებელი მოძრაობები გველოდება?**

– ცივი ომი არ იქნება იმიტომ, რომ რუსეთს ისეთი პოტენციალი არა აქვს, რომ ცივი ომი აწარმოოს. ეს ხომ ის იდეური ჩეკისტები არ არიან, რომლებიც კრემლის ულუფაზე ცხოვრებდნენ. დღეს ამ „ჩეკისტებს“ დასავლეთში დიდი ქონება აქვთ, მათი შვილები და შვილიშვილები დასავლეთში ცხოვრობენ. მათ არ შეუძლიათ დასავლეთისგან პირი იბრუნონ. არანარი ცივი ომი არ იქნება, უბრალოდ, საქართველომ ორი თავისი პროვინცია დაკარგა. ერთადერთი, ვინც დაზარალდა, ეს არის საქართველო. შეიძლება არც დაზარალებულა. ამ დღიდან საქართველო ძალიან განვითარდება, შევა ნატოში და ააშენებს მართლაც ძლიერ, დემოკრატიულ სახელმწიფოს.

**– იგი ტერიტორიის ოკუპირებას ვერ შეეგუება...**

– დიახ, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გარეშე საქართველო ნორმალურ სახელმწიფოს ააშენებს. ეს ორი პროვინცია საქართველოს ხელს ყველაფერში უშლიდა. მათ გამო ქვეყანას სრულად არ შეეძლო ინტეგრირება არც ევროკავშირში, არც ნატოში, არც სხვა საერთაშორისო სტრუქტურებში. საქართველოს საგარეო პოლიტიკა შენდებოდა გამომდინარე ამ კონფლიქტური რეგიონებიდან. ხომ ხედავთ, როგორ გადაწყდა მათი საკითხი? საქართველომ ვერ შესძლო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შენარჩუნება და თქვენ ამას უნდა შეეგუოთ. თქვენ წინ უნდა წახვიდეთ და დარწუნებული ვარ, რომ წინ წახვალთ. მხოლოდ ახლა შეუძლია საქართველოს აბსოლუტურად სუვერეული და დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდეს. ოღონდ ამ კონფლიქტური

# „საქართველომ მთავარი შეცდომა დაუშვა: ის ჩაიციკლა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპზე, ანგარიში არ გაუწია რეალობას, აჰყვა რუსეთს“

რეგიონების გარეშე. თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო თავისუფალი და დამოუკიდებელი ჩეჩნეთის საწინდარია. ჩვენ დიდი ხანია ველოდებოდით ამ თავისუფლებას და გვჯეროდა, რომ საქართველო ბოლოს და ბოლოს გათავისუფლდებოდა ყველა შინაგანი და გარეგანი პრობლემისაგან და აყვავდებოდა.

**– განახევრებული ქვეყანა როგორ უნდა აყვავდეს? მით უმეტეს, ამგვარი აყვავება ათი ათასობით დევნილისთვის წარმოუდგენელია. რა ვუთხრათ მათ – მოიცადეთ, მოითმინეთ, განაგრძეთ ცხოვრება „დროებით საცხოვრებლებში“, სადაც აქამდე მოგითმენიათ... ჩვენ ავაშენებთ მდიდარ და დემოკრატიულ ქვეყანას მტრის ჯიბრზე, ოღონდ თქვენ თქვენს ნამდვილ სახლებს ვერასოდეს ნახავთ?**

– რასაკვირველია, მესმის, რომ ეს არ არის სწორი. არც ერთ ადამიანს არა აქვს უფლება, სხვა ადამიანს სახლი წაართვას, შელახოს სხვა ადამიანის უფლებები. მაგრამ რადგან ომია და საქმეთა ვითარება ასეთია, ახლა ამ ომიდან გამომდინარე უნდა განსაზღვროთ მოქმედების გეგმა. გადაჭრათ დევნილების პრობლემები, შეიმუშაოთ პრობლემის გადაწყვეტის სხვა ვარიანტები. არავინ დედამიწის ზურგზე არ დაინტერესდება ამ დევნილების მდგომარეობით და არც კი გაიხედავს მათკენ – არც გაერო, არც ევროსაბჭო, არც ეუთო! ჩვენ ეს საკუთარ ტყავზე გამოვცადეთ.

ჩეჩნეთის ომებმა 250 000 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლეს. ეს კი მილიონიანი მოსახლეობის 25 პროცენტია. და რა გგონიათ, ვინმემ უსაყვედურა რუსეთს იმის გამო, რაც მან ჩეჩნეთში ჩაიდინა? არა. თქვენი დევნილების მისამართითაც არაფერი გაკეთდება. ამიტომ საქართველომ უნდა ისარგებლოს იმ შანსით, რაც მას ახლა აქვს. ახლა თქვენს სამშობლოს ყველა ეხმარება. მთავრობამ დევნილები საცხოვრებლით უნდა დააკმაყოფილოს. მაგრამ იცოდეთ: თქვენ შეგიძლიათ ისინი კარვებში გყავდეთ – არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია მათკენ არ გაიხედავს და ამ დევნილების გამო რუსეთს არავინ შეაწუხებს. ესეც ჩვენს თავზე გამოვცადეთ. რა, ქართველის სიცოცხლეს უფრო მეტი ღირებულება აქვს, ვიდრე ჩეჩენის? ჩვენ კავკასიელები ვართ. არავის უნდა სხვისი პრობლემები თავის ხარჯზე გადაწყვიტოს. ეს დასავლეთსაც არ უნდა. დამთავრდა რუსეთზე ზეწოლა. სარკოზი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელმაც რაღაც მაინც გააკეთა. სხვაგვარი არანაირი ზემოქმედება აღარ იქნება, რათა რუსეთმა წართმეული ორი პროვინცია უკან დაგიბრუნოთ. რაც უფრო ადრე გაიგებენ ამას ქართველები, მით უკეთესია თავად ქართველებისთვის.

**– დავუბრუნდეთ გაშვებული შანსის ისტორიის დეტალებს. რას ამბობდა არძინბა თქვენთან საუბრისას?**

– არძინბა მეკითხებოდა: რატომ არ გაღიარებთ საქართველო თქვენ და რატომ არ გვაღიარებს ჩვენო?

**– ისევ წარმოუდგენელი შეთავაზება. კავკასიის ხალხთა კონფედერაცია ნაუცბათევად შეიქმნა და მას დესტრუქციის გარდა არაფერი მოუტანია. მის წარმომავლობასაც კაგებეს უკავშირებდნენ...**

– კავკასიურ სახელმწიფოთა ნამდვილი კონფედერაცია რომ შექმნილიყო, იგი უფრო ეფექტიანი იქნებოდა. რუსების გავლენა კავკასიაში მინიმუმამდე დავიდოდა და ეს ყველასთვის სარგებლის მომტანი გახდებოდა.

**– სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით შევარდნაძეს ამდაგვარი არაფერი უცდია?**

– არა. შევარდნაძის აზრით, გამსახურდიამ დიდი შეცდომა დაუშვა, როცა ცხინვალისკენ დაიძრა.

**– სოხუმისკენ დაძვრაზე რა აზრი გამოთქვა?**

– ამას იგი არ აღიარებდა, მაგრამ თვლიდა, რომ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი გამსახურდიას დიდი შეცდომა იყო. რაც შეეხება შევარდნაძეს, მაშინ სხვები წყვეტდნენ სამხედრო საკითხებს. ვინ და რა ხალხიც იყო, თავადაც კარგად იცით. რუსეთმა კიტოვანს 65 საბჭოთა ტანკი მისცა, კიტოვანმა კი დაიკვეხნა, აფხაზეთს ტანკებით გადუვუვლიო... და გადაუარა კიდეც.

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**
**ნიუ-იორკი–ლონდონი**

**დასასრული. დასაწყისი**
**იხ. „სრ“ № 179.**

ვითარება

***ამ ბოლო დღეებში რუსული პრესა და ტელესივრცე აღსავსეა „სასიხარულო“ ინფორმაციებით იმის თაობაზე, რომ „ყაზახეთი უარს ამბობს საქართველოში ადრე დაგეგმილ ინვესტიციებზე და წყვეტს უკვე მოქმედი პროექტების განხორციელებას“.***

***უფრო კონკრეტულად საქმე ეხება ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის მინისტრ აქილბეკ კურისბაევის განცხადებას, რომელიც მან „სამთავრობო საათზე“ გააკეთა.***

***მისი თქმით, ყაზახეთმა უარი თქვა ფოთში ხორბლის ტერმინალის მშენებლობაზე და „ეს, რა თქმა უნდა, საერთაშორისო პოლიტიკურ პრობლემებს, ანუ საქართველოში შექმნილ ვითარებას უკავშირდება“.***

***გარდა ამისა „ყაზმუნაიგაზმა“ უარი თქვა ბათუმში ნავთობტერმინალის აგებაზე.***

# მართლა შეწყდება თუ არა საქართველოში ყაზახური ინვესტიციები?





ყაზახები კომფორტულად მოთავსდნენ... ორ სავარძელში

ერთი შეხედვით, თითქოს, ესოდენ მკაცრი დემარშები იმაზე მეტყველებს, რომ ყაზახეთი აპირებს საერთოდ შეწყვიტოს თანამშრომლობა საქართველოსთან და ამით მოსკოვს თავისი ლოიალობა დაუდასტუროს. მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით.

იმისთვის, რათა გავერკვეთ, სინამდვილეში რასთან გვაქვს საქმე, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რას წარმოადგენს თანამედროვე ყაზახეთი, მისი მმართველი რეჟიმი და პრეზიდენტი ნაზარბაევი, როგორც პოლიტიკოსი.

ნურსულთან ნაზარბაევი საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე პირველად გამოჩნდა 1989 წელს – ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის რანგში. ყრილობაზე გამოსვლისას მან მწვავედ გააკრიტიკა „ცენტრი“ – რესპუბლიკებში არასწორი ადმინისტრირებისთვის, ნაზარბაევი ყაზახეთის საბჭოთა ელიტის იმ გენერაციას განეკუთვნებოდა, რომელმაც თავის იდეოლოგიად „გონივრული ნაციონალიზმი“ ირჩია და საშინლად აღშფოთდა (სტუდენტურ გამოსვლებსაც მხარი დაუჭირა), როდესაც 1986 წელს ყაზახეთის პარტიულ ხელმძღვანელად არა ეთნიკური ყაზახი, არამედ რუსი გენადი კოლბინი დაინიშნა, სხვათა შორის, ედუარდ შევარდნაძის ყოფილი „მოადგილე“ (ცკ-ს მეორე მდივანი) საქართველოში.

სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე იმ პირველი გამოსვლის შემდეგ ნაზარბაევი ჯერ ყაზახეთის კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივანი გახდა, შემდეგ კი პრეზიდენტად აირჩიეს.

იმ ეპოქიდან მოყოლებული, ეს უაღრესად ფრთხილი, გონიერი, შორსმჭვრეტელი და ეშმაკზე ეშმაკი პოლიტიკოსი უცვლელად მართავს თავის ქვეყანას, რომელიც მან ათი წლის განმავლობაში რუსეთის „რბილი მუცლისქვეშეთიდან“ (ალექსანდრე სოლჟენიცინის განსაზღვრებით) ცენტრალური აზიის წამყვან სახელმწიფოდ და მსოფლიო გეოპოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთამაშედ აქცია.

თანაც ისე, რომ იმავდროულად შესანიშნავი ურთიერთობა შეინარჩუნა რუსეთთან, ჩინეთთან, დასავლეთთან, აღმოსავლეთთან, იაპონიასთან, მეზობელ სახელმწიფოებთან; მოიზიდა ათეულობით მილიარდი დოლარის ინვესტიცია, ტრიალ სტეპში ააშენა ულამაზესი თანამედროვე ქალაქი ასტანა და ყაზახური ელიტა მსოფლიო ენერგეტიკული ისტებლიშმენტის სრულუფლებიან წევრად აქცია.

მაგრამ ამ ყოველივეს ყაზახეთის გაქნილმა პრეზიდენტმა მიაღწია უმოწყალო პრაგმატიზმით და ჭკვიანური გადაწყვეტილებებით.

მივაქციოთ ყურადღება, როგორ მოიქცა ნაზარბაევი „სამხრეთ ოსეთის“ კრიზისის დაწყებისთანავე: ერთი მხრივ, პუტინის თანდასწრებით პრესისთვის გააკეთა განცხადება, რომ „საკვირველია, თუკი საქართველო თავს დაესხა ცხინვალს“, მაგრამ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე მოსკოვს კატეგორიული უარი უთხრა, რაკი შესანიშნავად უწყის, რომ ეს პრეცედენტი შესაძლოა სავალალო აღმოჩნდეს ყაზახეთის ჩრდილოეთ რეგიონებისათვის, სადაც რუსული მოსახლეობა 90 პროცენტს შეადგენს.

იმავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ განცხადებები საქართველოში ინვესტირების შეწყვეტასთან დაკავშირებით: ფოთის ტერმინალი სინამდვილეში მიზერია იმ თანხასთან შედარებით, რაც ყაზახეთის ხელისუფლებამ და კომერციულმა ორგანიზაციებმა დააბანდეს საქართველოში ან აპირებენ დააბანდონ უახლოეს მომავალში.

მათგან საკმარისია დავასახელოთ „თბილგაზი“, „ტელეკომი“ სასტუმრო „ივერიის“ პროექტი, ბათუმის საკურორტო ინფრასტრუქტურა, ბათუმის პორტი და სხვა.

რასაკვირველია, არც ერთ მათგანზე ყაზახები უარის თქმას არ აპირებენ ან თუ დააპირებენ მაინც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კომპანიებს იმავე რუსეთს მიჰყიდიან სარფიან ფასად.

ეკონომიკური განვითარების სააგენტოში „ჯი-ეიჩ-ენ“-ის კორესპონდენტს განუცხადეს, რომ მათთან ჯერჯერობით არ შემოსულა არანაირი ოფიციალური განაცხადი რომელიმე სერიოზული საინვესტიციო პროექტის შეწყვეტის შესახებ.

ასეთი ინფორმაცია არა აქვთ მერიაშიც. ნიშანდობლივია, რომ ყველა ალარმისტული ინფორმაცია „საქართველოდან ყაზახი ინვესტორების წასვლის“ შესახებ ვრცელდება რუსულ სააგენტოებზე დაყრდნობით. თვით საქართველოში ყაზახური კომპანიების წარმომადგენლობებს კი ჯერჯერობით არანაირი განცხადება ამასთან დაკავშირებით არ გაუკეთებიათ.

სავარაუდოდ, ამ ინფორმაციების გავრცელებით ყაზახები კვლავ ცდილობენ კომფორტულად მოთავსდნენ ორ სავარძელში. და, რაც ყველაზე საოცარია, ამას შესანიშნავად ახერხებენ კიდეც: ერთი მხრივ, რუსულ მედიასივრცეში იქმნება შთაბეჭდილება(!), თითქოს ყაზახეთი ერთმნიშვნელოვნად მხარს უჭერს რუსეთის პოლიტიკას საქართველოს მიმართ და ინვესტიციებსაც კი წყვეტს, მეორე მხრივ კი არ სცნობს საქართველოს რეგიონთა დამოუკიდებლობას და არც სერიოზულ საინვესტიციო პროექტებს აჩერებს. ყოველ შემთხვევაში იმათ, რომელშიც სერიოზული თანხა გადაიხადა და დიდ მოგებასაც ელის.

მაგალითად, არავითარი საფრთხე არ ემუქრება სასტუმრო „ივერიის“ და „ვარდების მოედნის“ პროექტს, რომელშიც ყაზახები მონაწილეობენ ქართველ პარტნიორებთან ერთად. კომპანია „სილქ როუდ გრუპში“ სააგენტოს განუმარტეს, რომ საქართველოში მრავალი ყაზახური კომპანიაა შემოსული და მათი უმრავლესობა აგრძელებს თანამშრომლობას ქართველ პარტნიორებთან.

ძალიან ბევრ საკითხს ნათელი მოეფინება უახლოეს მომავალში, როდესაც რომელიმე საერთაშორისო ფორუმზე და დიპლომატიურ „მოედანზე“ წარმოიშობა აუცილებლობა ან შესაძლებლობა პირადი კონტაქტისა ნურსულთან ნაზარბაევსა და მიხეილ სააკაშვილს შორის. სხვათა შორის, თავის დროზე (ოთხი წლის წინათ) მოსკოვში აუცილებლად გააღიზიანებდათ ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი ნაზარბაევი გახდა პირველი ლიდერი დსთ-ს პრეზიდენტებს შორის (თუ იუშჩენკოს არ ჩავთვლით), რომელმაც მიხეილ სააკაშვილი ოფიციალური ვიზიტით მიიწვია.

იმ დროს ეს ვიზიტი იყო პოსტსაბჭოური ელიტების მზარდი შიშნეულობის გამოვლინება – „ვარდების რევოლუციით“ შექმნილი პრეცედენტისა, ანუ სააკაშვილის მიწვევით პრეზიდენტი ნაზარბაევი ერთგვარად საკუთარი რეჟიმის ლეგიტიმაციასაც კი ცდილობდა და იმის დემონსტრირებას, რომ რაკი „ხავერდოვანი რევოლუციის“ პიონერი ყაზახეთში ჩადის, მისდამი პატივისცემას ამჟღავნებს და აღტაცებით საუბრობს „ყაზახეთის ეკონომიკურ წარმატებებზე,“ მაშასადამე, ეს ქვეყანა არ შეესაბამება იმ „კრიტერიუმებს“, რომლებიც რევოლუციებს განაპირობებდნენ პოსტსაბჭოურ სივრცეზე და ყაზახეთში ამგვარი რევოლუცია არც არის მოსალოდნელი.

ნაზარბაევის გათვლა ამ თვალსაზრისითაც ძალიან ზუსტი აღმოჩნდა.

უფრო მეტიც: ყაზახეთმა საქართველოში დაიწყო სერიოზული ინვესტიციების განხორციელება და ერთგვარად „ნაივურიც“ უნდა იყოს მოსაზრება, თითქოს სინამდვილეში ამ ინვესტიციების მიღმა რუსული კომპანიები იდგნენ.

რეალურად კი, ეს დიდწილად სწორედ ყაზახური ფულია, რომელმაც მაშინ ყველას დაასწრო რეგიონული თვალსაზრისით მრავალმხრივ საინტერესო და აქტუალურ მოედანზე (ანუ საქართველოში) შემოსვლა.

ყაზახებმა რუსეთთან, რასაკვირველია, შეიძლება ივაჭრონ, ერთობლივი პროექტებიც განახორციელონ, მაგრამ ისინი არავითარ შემთხვევაში არ აქცევენ თავიანთი ახალგაზრდა ქვეყნის ეკონომიკურ „ბრენდს“ რუსული იმპერიალიზმის საექსპლუატაციო და საოპერაციო საგნად თუ სასპეკულაციო საქონლად.

მხოლოდ ეს ერთი არგუმენტიც კმარა იმ „კონსპირაციული“ თეორიის გასაბათილებლად, თითქოს „ყაზახების ხელით რუსეთი ყიდულობდა საქართველოს“.

არადა, ყაზახებმა თვლაც კარგად იციან და საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვაც. მათი ეშმაკი და ჭკვიანი პრეზიდენტი კი არა „ორ სკამს შუა ჯდომას“, არამედ ერთდროულად ორ სავარძელში კომფორტულად მოთავსებასაც კი ახერხებს.

**დავით იმნაიშვილი,**
**ჯი-ეიჩ-ენი**

პროტესტი

# გამაფრთხილებელი გამოფენა-აქცია

**საფრანგეთის საელჩოსთან საქართველოს ჟურნალისტთა კავშირ „სხივის“ პრეზიდენტმა და „9 აპრილის“ მუზეუმის დამაარსებელმა თამაზ ბიბილურმა გამაფრთხილებელი გამოფენა-აქცია გამართა „სხივისა“ და „9 აპრილის“ მუზეუმისადმი წინა წლებში ჩადენილი დანაშაულისა და საქართველოს ხელისუფლების უმოქმედობის შესახებ. მათი ძირითადი მოთხოვნები იყო:**




გამოძიებული იქნეს „9 აპრილის“ მუზეუმში განხორციელებული ტერორისტული აქტი. მასალები დიდი ხანია პროკურატურაში ძევს;

თბილისში, რიყეზე „სხივის“ კუთვნილი ფართის უკანონოდ ჩამორთმევა.

როგორც ცნობილია, 2000 წლის 26 სექტემბერს „9 აპრილის“ მუზეუმი და დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ოფისი დაარბიეს. განმკითხავი კი, დღემდე არავინ აღმოჩნდა.

თამაზ ბიბილური კიდევ ერთხელ მოითხოვს:

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებმა პრინციპულად აღნუსხონ ჩადენილი ფარული პრივატიზაცია და ვანდალიზმი. საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, თბილისის მერიის და მართლმსაჯულებისადმი არაერთი მიმართვის მიუხედავად, არავითარ ზომებს არ იღებენ 9 აპრილის მუზეუმის ექსპონატებისა და უახლესი ისტორიის იშვიათი დოკუმენტების გადასარჩენად, მერვე წელია კავშირი „სხივი“ – საქართველოში პირველი დამოუკიდებელი ჟურნალისტური ორგანიზაცია ქუჩაშია გაძევებული.

გამაფრთხილებელ მოძრავ გამოფენა-აქციას თამაზ ბიბილური საქართველოში არსებულ ყველა საელჩოსთან გამართავს მოთხოვნით – „დაგვიბრუნეთ 9 აპრილის მუზეუმი“!

**მირანდა ფორჩხიძე**



კითხვები, რომლებიც პასუხს მოითხოვენ

# მწარე სიმართლე

## დაგვიანებული წერილი საქართველოს მეორე ანუ გულახდილი საუბარი იმაზე,

შეთანხმების თანახმად, პირველი შეხვედრა ერთი კვირის თავზე გალში უნდა შემდგარიყო. აფხაზური მხრიდან დიალოგში მონაწილეობას სერგეი ბაღაფში, ალექსანდრე ანქვაბი, დავით ფილია და ანრი ჯერგენია მიიღებდნენ. ქართული მხარის შემადგენლობა კი თქვენ უნდა განგესაზღვრათ. შეთანხმების პროექტი შემუშავებული და ექსპერტთა დონეზე ვიზირებული იყო ანრი ჯერგენიასა და ჩემს მიერ, მასში დაფიქსირებული პოზიციები კი შეჯერებული და შეთანხმებული — ოფიციალურ სოხუმთან.

ამ დოკუმენტის თაობაზე მეორე დღესვე მოვახსენე საქართველოს ელჩს რუსეთში ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძეს. მაშინ თქვენთან უშუალოდ დალაპარაკების საშუალება არ მომეცა. თბილისში ჩასვლისთანავე, გეახელით „იმელში“, სადაც სამი დღის განმავლობაში, დილიდან გვიან ღამემდე ამაოდ ველოდებოდი თქვენს „წყალობას“ — თქვენ ჩემთვის ვერ მოიცალეთ! სწორედ იმ დროს, 1995 წლის 1 აპრილს გალის შემოგარენში, სოფელ მახუნჯიაში ტარდება უპრეცედენტო დივერსიული აქტი, რის შედეგადაც იღუპება აფხაზური პოლიციის 7 მაღალჩინოსანი. გამახსენდა მაშინ ანრი ჯერგენიას მოსკოვში ნათქვამი სიტყვები: „უნდა ვიჩქაროთ, თორემ ხელს შეგვიშლიან“. „ვინ?“-მეთქი. „თქვენები“, — იყო პასუხი. ვხედავდი, როგორ აუხდა სიტყვები ანრი ჯერგენიას!... თქვენ კი არც ეს, არც მიღწეული შეთანხმება და მის ირგვლივ არსებული მოსაზრებები, არც აფხაზური მხარის განწყობა და პოზიცია გაინტერესებდათ!... რატომ?! ისმის კითხვები, ეს დივერსიული აქტი, უბრალო დამთხვევა იყო თუ მიღწეული შეთანხმების ჩასაშლელად გამიზნული ქმედება?!

ამასობაში აფხაზეთში გამოცხადდა საყოველთაო გლოვა და გალში დაგეგმილი ქართულ-აფხაზური დიალოგი, რა თქმა უნდა, ჩაიშალა. ვხედავდი, რომ თქვენთან შეხვედრას აზრი არ ჰქონდა, მით უფრო, რომ მახუნჯიაში მომხდარი ფაქტის ახსნას დიდი თავისმტვრევა არ სჭირდებოდა! მოგვიანებით თამაზ ნადარეიშვილმა ღიმილით მითხრა: „თქვენი პროექტი იმ დღესვე ჩემს მაგიდაზე იდო!“...

იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება თქვენ, რატომღაც, ხელს არ გაძლევდათ! ეს მეორედ ვირწმუნე მაშინ, თუმცა მიზეზს ვერ ვხვდებოდი. იქნებ, ჩემისთანა უბრალო მოკვდავის მიერ მიღწეული შეთანხმება მიუღებელი იყო თქვენისთანა დიდი პოლიტიკოსისათვის?!... იქნებ, იყო სხვა, მხოლოდ თქვენთვის ცნობილი, თქვენთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი?!

ახლა ისევ წინდაუხედავ გადაწყვეტილებებს მივუბრუნდეთ. 1994 წლის 10 მარტს თქვენ აუქმებთ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს, როგორც „არაკანონიერს!“ რამდენად სწორი და თანამიმდევრული იყო ასეთი ქმედება? ან რომელი ნორმატიული აქტი თუ სამართლებრივი მექანიზმი დაედო ამას საფუძვლად? იმ დროს, როდესაც ქვეყანაში არ არსებობდა სახელმწიფოს ძირითადი კანონი — კონსტიტუცია — რამდენად სწორი იყო ასეთი ქმედება? რას ისახავდა მიზნად ასეთი წინდაუხედავი და სამართლებრივად არასწორი ნაბიჯი?

თქვენი უკანასკნელი თხზულების თანახმად, აფხაზეთის დე ფაქტო უმაღლეს საბჭოში მისი შემადგენლობის რაღაც ერთი მესამედი დარჩენილა თურმე! რამდენად შეესაბამებოდა ეს სინამდვილეს? განა უცნობი იყო თქვენთვის, რომ აფხაზური მხარე, მის მხარდამჭერ სხვა ეროვნების დეპუტატებთან ერთად, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში დეპუტატთა საერთო რაოდენობის ორმოცდაათ პროცენტზე მეტს შეადგენდა და მას რომ კვორუმი გააჩნდა? განა ჩვენს მიერ პარლამენტის გაუმართლებლად საბოლოოდ დატოვების შემდეგ არ მიიღეს იმათ მთელი რიგი უკანონო, ჩვენთვის მიუღებელი გადაწყვეტილებები, რომლებმაც მხარეებს შორის ისედაც ძალზე დაძაბული ურთიერთობა კიდევ უფრო გააღრმავა? აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს გაუქმება არ უშლიდა ხელს გაეროს აფხაზეთის პრობლემების მოგვარებაში, მათ შორის, დევნილების დაბრუნებაში?

ომიდან ღირსეულად გამოსვლას თუ აპირებდით, რასაც არაერთგზის აცხადებდით, რატომ განაიარაღეთ და ფრონტის ხაზიდან გამოიყვანეთ ჩვენი ჯარი მაშინ, როდესაც იმავეს არ აკეთებდა მოწინააღმდეგე? რატომ არ შემოწმდა მისი გრძელი ავტოკოლონა, რომელიც თითქოს ჰუმანიტარული ტვირთით ტყვარჩელისაკენ მიემართებოდა? ვის მიუძღვის ამაში ბრალი, ან სად არიან ის ადამიანები დღეს? ან კიდევ, რატომ აწინაურებდით და ურიგებდით ჩინ-მედლებს ასე უხვად ამ სამარცხვინოდ წაგებული ომის გენერლებს თუ სხვა ჩინოსნებს, რომელთა უზნეობამ, უნიჭობამ, უგერგილობამ და დანაშაულებრივმა საქმიანობამ შეიწირა ამდენი სრულიად უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე და დაგვაკარგვინა აფხაზეთი? რატომ ხდებოდა ყოველივე ეს?

სწორედ ამგვარ გარემოებათა გამო ვერ შევძელი მიმეღო თქვენს მიერ ბოძებული სამხედრო და ღირსების ორდენები. ყოველივე იმის შემდეგ, რაც აფხაზეთში მოხდა, ეს, უბრალოდ, უზნეობად მივიჩნიე! საინტერესოა, რას ფიქრობენ ისინი, ვინც აფხაზეთის ტრაგედიასთან დაკავშირებულ ჩინ-მედლებს ატარებენ?!

რატომ არ გამაგრდნენ სამთავრობო ჯარები, სოხუმის დაცემის შემდეგ კელასურზე, მაჭარკაზე ან კოდორზე? თუ აფხაზეთი მიზანმიმართულად არ ბარდებოდა და თუ ღალატს არ ჰქონდა ადგილი, რატომ გარბოდა ჯარი მშვიდობიანი მოსახლეობის წინ? რატომ არ გაარღვიეს ხუთ თუ ექვსათასიანმა სამხედრო შენაერთებმა კოდორის ხიდთან გამაგრებული აფხაზთა 300-კაციანი რაზმი და სოხუმისა და გულრიფშის მოსახლეობას რატომ არ გაუხსნეს გზა სამშვიდობოსაკენ? რატომ გაუყენეს ასიათასზე მეტი ადამიანი, მათ შორის სამხედროები, რატომღაც ომის წინა დღეებში შეკეთებულ საკენ-ჭუბერის გოლგოთის — „ვარლამის გზას“ მაშინ, როდესაც გამოსვლა ოჩამჩირის მიმართულებით შეიძლებოდა, საიდანაც გულრიფშის მოსახლეობის დიდი ნაწილი გამოვიდა? ოჩამჩირისა და გალის რაიონების მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით, მწყობრიდან რატომ არ გამოიყვანეს საკომუნიკაციო ნაგებობები? ან რატომ დროზე არ გააფრთხილეს ამ რაიონების მოსახლეობა? რატომ ძარცვავდნენ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი პირები დევნილებს სვანეთის მთებში? იმ ჯოჯოხეთის გზაზე მიმავალ გაუბედურებულ ადამიანებს რატომ უწოდებდნენ ფორმიანი მძარცველები „მეგრელ მოღალატეებს“? რატომ განაიარაღეს იმავე გზაზე სოხუმის 23-ე ბრიგადის — გენერალ გიზო ადამიას შენაერთების დიდი ნაწილი? განა ისე დაიღუპა გენერალი ადამია, როგორც თქვენ წერთ? განა არ იცოდით, რომ გენო ადამია, სხვებისგან განსხვავებით, არ გამოქცეულა ბრძოლის ველიდან და არ დაუტოვებია თავისი თანამებრძოლები მტრის პირისპირ?! ის იმათ გამოსახსნელად გაეშურა და სწორედ ამ დროს შეეფეთა მოწინააღმდეგის რაზმს და გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე! ან რით ახსნით იმას, რომ ქვეყნისა და ერისთვის თავდადებული, ცოტნე დადიანის ზნეობის დონის გმირი ჟიული შარტავა მეგობრებთან ერთად შეატოვეთ გააფთრებულ მოწინააღმდეგეს მაშინ, როდესაც აფხაზეთის ტრაგედიის ერთ-ერთი აღიარებული ანტიგმირი წინასწარ გამოიყვანეთ სამშვიდობოზე და დააწინაურეთ, როგორც ვალმოხდილი გმირი? მაშინ როდესაც სოხუმი უკვე ეცემოდა, რატომ არ მიეცით ჟიული შარტავას განკარგულება თანმხლებ პირებთან ერთად დაეტოვებინა მთავრობის სასახლე და გამოსულიყო სამშვიდობოს, იქ, სადაც თქვენ და თქვენი „ვალმოხდილი“ სარდლობა იმყოფებოდით? თავის ურყევ პატრიოტულ მრწამსს, ერისა და ქვეყნის გაერთიანებისა და მშვიდობის გზების ძიებას ხომ არ შეეწირა იგი?

რატომ არ იქნა ყურად აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს დეპუტატ კიმი ჯაჭვლიანის წინადადება, რომ დროზე გადაეკეტათ სოხუმის მიმდებარე მთებზე არსებული ბილიკები და გადასასვლელები? ან რატომ არ შეისმინა იქ დაღუპული ელგუჯა გურჩიანის გაუთავებელი ვედრება, საიმედოდ დაეცვათ და გაემაგრებინათ ცუგუროვკა-კამანის მონაკვეთის გადასასვლელი გზები, რომლითაც მოწინააღმდეგე მძიმე ტექნიკისა და ჯარის სოფელ შრომის გავლით სოხუმში გადმოსროლას ლამობდა (და გადმოიყვანა კიდეც!), რატომ უწოდებდნენ ელგუჯას პროვოკატორს და რატომ შუქდებოდა შესაბამისი ფაქტები არასწორად? კერძოდ, რატომ ამტკიცებდა ჩვენი ტელევიზია (თუ ის ჩვენი იყო?!), სამეგრელოში არც ერთი ლტოლვილი არ შეუშვესო, როცა დევნილთა ორი მესამედი სწორედ სამეგრელოში, კერძოდ, ზუგდიდის რაიონში იყო შეფარებული? რა მიზნებს ემსახურებოდა ასეთი უზნეო პროპაგანდა? მაშინ როდესაც აფხაზეთის ქართველობა სისხლისგან იცლებოდა, ქვეყნისთვის ასეთ ტრაგიკულ ჟამს, თბილისის საკონცერტო დარბაზებში თუ ტელევიზიაში რატომ იმართებოდა გამუდმებით ტაშ-ფანდური და „ნაღდი შოუ“?

დაბოლოს, რატომ დავთანხმდით ასე სახელდახელოდ დსთ-ში შესვლაზე, თუ რუსეთი არ დაგვეხმარებოდა აფხაზეთის დაბრუნებაში და თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანება აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში არ წაგვეშველებოდა, როგორც თქვენ გვაიმედებდით? რატომ გადაიდგა ეს ნაბიჯი? თუ ომის წაგების შემდეგ შეიძლებოდა რუსეთის ჯარების შემოყვანა საქართველოში და მათთვის სამშვიდობო სტატუსის მინიჭება, ომის მსვლელობის დროს გაუაზრებლად რატომ უარყავით გენერალ გრაჩოვის მიერ სოჭში შემოთავაზებული გეგმა, რომელიც სადესანტო დივიზიის აფხაზეთში გადმოსროლას, ორივე მხარის განიარაღებას და სამშვიდობო მისიის შესრულებას ითვალისწინებდა? თუ ამგვარი შეთანხმება ოთხივე მხარის (საქართველო, აფხაზეთი, რუსეთი, ეუთო) მიერ იქნებოდა სამართლებრივად გაფორმებული და მოხდებოდა მხარეების განიარაღება, რეგიონის სრული დემილიტარიზაცია, ხომ აგვცდებოდა ის, რაც მოხდა შემდგომ აფხაზეთში! გუდაუთიდან უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის აფხაზური ნაწილის სოხუმში დაბრუნებისა და აფხაზეთის კანონიერი ხელისუფლების აღდგენის, საგანგებო მდგომარეობის გაუქმებისა და რუსეთის ჯარების გაყვანის შემდეგ განა შესაძლებელი არ გახდებოდა ახალი არჩევნების ჩატარება აფხაზეთში?

არ მინდა, ვინმეს ბრძენად ან წინასწარმეტყველად მოვეჩვენო, მაგრამ აფხაზეთის ომის დროს ბევრი მიფიქრია იმაზე, თუ როგორ შეიძლებოდა ომიდან ღირსეულად გამოსვლა და კონფლიქტის მოგვარება, ამ პრობლემისადმი ჩემეული მიდგომა მქონდა. არ ვიცოდი მხოლოდ, ვის უნდა გაეკეთებინა ეს, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნდა აფხაზეთში საგანგებო მდგომარეობის შემოღება, ერთობლივი ძალებით მხარეების განიარაღება და მთელი ტერიტორიის გაკონტროლება; აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის აღდგენა, დროებითი სამთავრობო მმართველობის შემოღება ან კანონიერი მთავრობის არჩევა; საგანგებო მდგომარეობის მოხსნისა და, ოთხმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, რუსეთის ჯარების გაყვანის შემდეგ, კონფლიქტის კონსენსუსის გზით დარეგულირება; ახალი დემოკრატიული (და არა აპარტეიდული!) საარჩევნო კანონის შემუშავება და აფხაზეთის ახალი ხელისუფლების არჩევა; კონფლიქტის საბოლოოდ მოგვარების შემდეგ, ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებათა გამიჯნვა, შესაბამისი პოზიციების შეჯერება და ა.შ. ამგვარი მიდგომა და მოსაზრებები ერთ-ერთი ღამის საუბრების დროს გავაცანი ნეტარხსენებულ ჟიული შარტავას. ეს ძალიან მოეწონა მას და მთხოვა, ქაღალდზე გადამეტანა.

სოხუმის დაცემამდე, დაახლოებით ერთი კვირით ადრე, აფხაზეთის ე.წ. მთავრობის საგანგებო სხდომა გაიმართა, რომელსაც, მის სრულ შემადგენლობასთან ერთად, ქვეყნის ვიცე-პრემიერი სანდრო კავსაძე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია და სხვები ესწრებოდნენ. აქ იყვნენ, აგრეთვე, ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრებიც ბორის კაკუბავას თავ-


„გოლგოთის გზა“

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 178-179.

კითხვები, რომლებიც პასუხს მოითხოვენ

# – დაუფარავად!..

## პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, თუ როგორ გასხვისდა აფხაზეთი

კაცობით. 1993 წლის 27 ივლისის სოჭის ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული საკითხები იხილებოდა. მწვავე ცხა-ბაასი გაიმართა და ყველა, გარდა თბილისელი სტუმრებისა, ხელისუფლების აფხაზური ნაწილის სოხუმში დაბრუნებას კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწია. ერთი სიტყვით, მიმდინარეობდა სოჭის ხელშეკრულების რევიზია.

ამ დროს ნეტარხსენებული ჟიული შარტავა დარბაზიდან იყო გასული, ის გაეროსა და რუსეთის სამხედრო დამკვირვებლებს ხვდებოდა და სხდომას, ფაქტობრივად, სანდრო კავსაძე უძღვებოდა. განსაკუთრებით „ეროვნული ერთიანობის საბჭოს" წევრები აქტიურობდნენ. ვხედავდი, ისევ მილიტარისტული ძალები მძლავრობდნენ, მიტომ მწვავედ შევეკამათე მათ. იმ ავადსახსენებელი სხდომის დამსწრეთ და თავად სანდრო კავსაძეს შევახსენებ სხდომის ზოგიერთ დეტალს. მან მითხრა: „ბატონო ნაპო, მე ვიცნობ თქვენს გეგმას, იგი ბატონმა ჟიულიმ გადმომცა და გავეცანი. ის მისაღებია და გთხოვთ, მოგვახსენოთ!" მოკლედ ვისაუბრე პროექტის ირგვლივ, თანაც დამსწრეთ მივმართე თხოვნით, შეეწყვიტათ სოჭის ხელშეკრულების ირგვლივ გაუთავებელი კამათი, დაეთმოთ სავარძლები და ხელისუფლების აფხაზური ნაწილის გუდაუთიდან სოხუმში დაბრუნებისთვის არ შეეშალათ ხელი. ატყდა ერთი აურზაური, სასტიკად შემომიტიეს. განსაკუთრებით აქტიურობდა ბორის კაკუბავა: „თქვენ ითანამშრომლებთ არძინბასა და მის გარემოცვასთან?" – ცხარობდა იგი. „მე სატანასთანაც ვითანამშრომლებ, ოღონდ ომი არ განახლდეს და მეტი სისხლი არ დაიღვაროს-მეთქი!" მეორე დღეს სოხუმში საპროტესტო მიტინგი მაინც გამართეს, რასაც ომის განახლება და სოხუმის დაცემა მოჰყვა. ბატონო ედუარდ, თქვენ ამას ყველაფერს შორიდან აკვირდებოდით და მოვლენების განვითარებაში არ ერეოდით! რატომ, ბატონო ედუარდ?!..

თუ გენერალ გრაჩოვის შემოთავაზება მიუღებელი იყო, რადგან მასში რუსეთის მიერ საქართველოს სამხედრო ოკუპაციის ნიშნები იკვეთებოდა, რატომ არ შეიძლებოდა მისი განეიტრალება კარგად გააზრებული, დაახლოებით ზემოთ მოტანილი ჩემეული გეგმის ან მისი მსგავსი წინადადებით?! ხომ შეიძლებოდა გრაჩოვის მიერ შემოთავაზებული გეგმიდან მაქსიმალური სარგებლის გამოტანა და მომგებიანი შეთანხმების მიღწევა? თქვენ მიერ გამოთქმული არგუმენტი, რომ, სოჭში ორი ძალოვანი მინისტრის – ყარყარაშვილისა და ბათიაშვილის გადადგომის შემდეგ თბილისში დაბრუნება გაგიჭირდებოდათ, დღევანდელი გადასახედიდან, მიღებული კატასტროფული შედეგების ფონზე უსუსურად და არასერიოზულად ხომ არ გეჩვენებათ, ბატონო ედუარდ? რატომ არ გაითვალისწინეთ ეს ყველაფერი და რატომ უარყავით შემოთავაზებული გეგმა წინდაუხედავად? ენგურზე რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალების ჩაყენებით განა არ ფიქსირდებოდა უფრო მძიმე შედეგი – აფხაზეთის, რეალურად კი, რუსეთის საზღვარი და ამით მის მიერ აფხაზეთის ანექსირების ფაქტი? გენერალ გრაჩოვის მიერ შემოთავაზებული წინადადების მაქსიმალურად გონივრული გამოყენების შემთხვევაში, ვიპორებ, ხომ არ მივიღებდით იმ ტრაგიკულ შედეგს: ათიათასობით ადამიანის მსხვერპლს, ასიათასობით ძირძველი მოსახლის გამოდევნას, აფხაზეთის ქართველებისაგან დაცლას – აფხაზეთის უქართველებოდ დარჩენას, აფხაზეთის დე ფაქტოდ დაკარგვას და რუსეთის მიერ მის ანექსირებას? თქვენი დონის პოლიტიკოსმა რატომ ვერ განჭვრიტეთ ყოველივე ეს და რატომ მიიღეთ ასეთი ნაჩქარევი გადაწყვეტილება?! ამას დიდი პოლიტიკოსობა სჭირდებოდა?!... ვერ დავიჯერებ, რომ თქვენ ამის გააზრების უნარი არ შეგწევდათ! მაშინ რა მოხდა, ბატონო ედუარდ?! **სამოქალაქო ომის განახლების პერსპექტივამ და თქვენი ხელისუფლების დამხობის საშიშროებამ ხომ არ განაპირობა ასეთი უცაბედი, გაუთვითცნობიერებელი და შედეგზე ნაკლებად ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღება? როგორ ფიქრობთ, დღეს რა ყოფილა უფრო მნიშვნელოვანი და ძვირადღირებული – ომიდან ღირსეულად გამოსვლა, აფხაზეთის მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა და აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენა, თუ ტახტის შენარჩუნება და ხელისუფლების პოზიციების გამაგრება და განმტკიცება?!... ბატონო ედუარდ, ხომ არ გეჩვენებათ, რომ ესაა უმთავრესი საკითხავი, კითხვათა კითხვა!.**


ჟიული შარტავა.

როგორც ხედავთ, კითხვებს ბოლო არ უჩანს. ის შეიძლება, უსასრულობამდე გაგრძელდეს, მაგრამ რა აზრი აქვს, თუ ისედაც ცხადია, რომ ისინი ისევ უპასუხოდ დარჩებიან, თუმცა საზოგადოებრიობამ იცის სიმართლე და ამ კითხვებზეც პასუხი, მას თავისი ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს და თქვენს წიგნში უხვად გაბნეული „უზუსტობები" ამ პოზიციაზე გავლენას ვერ მოახდენენ.

ყოველივე ამის შემდეგ, ალბათ, დამეთანხმებით, ბატონო ედუარდ, აფხაზეთთან მიმართებაში რამდენადმე სერიოზულ და წინდახედულ პოლიტიკაზე საუბარი, რბილად რომ ვთქვათ, უადგილო და უხერხულიცაა. როგორც მოვლენათა განვითარებამ ცხადყო, ვერც ურმის გადაბრუნებამ გვიშველა, ამის შემდეგაც ვერ ვპოულობთ სწორ გზას – ძველ შეცდომებს ახალი მოსდევდა და მოსდევს დღესაც და მივყვებით ასე მოვლენათა არახელსაყრელ დინებას. თუ ვინმე იმაღლებდა და იმაღლებს ხმას, იმისი სიტყვა წაიგავდა და წაგავს „ხმას მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". პატიოსანი ადამიანების მიმართ უნდობლობის პოლიტიკას ბოლომდე აგრძელებდით. წინა პლანზე წამოწეული იყო არაკომპეტენტური ადამიანების, ერთეულების, უმთავრესად დამნაშავე პირთა და კლანურ-მაფიოზური წრეების სურვილები, რასაც ემსხვერპლა კიდეც ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები. ამაშია მთელი ტრაგიზმი!


1992 წლის ოქტომბერი. ბატონები თამაზ ნადარეიშვილი, ედუარდ შევარდნაძე და გივი ლომინაძე სოხუმში ანტიაფხაზურ მიტინგზე.

უბედურება ისიცაა, რომ სიმართლე და ჭეშმარიტება დღემდე არ არის აღიარებული! არადა საჭირო და აუცილებელია სიმართლის, რა არასასიამოვნოც არ უნდა იყოს იგი, დღის სინათლეზე გამოტანა და მისთვის თვალის გასწორება. გარდა იმისა, რომ ეს ცხოვრებისეული კანონზომიერებაა, ამას მოითხოვს ხელისუფლებისგან ხალხი, ეს მისი დაკვეთაა, რისი უგულებელყოფა ან დაყოვნება საბედისწერო შეცდომა და უზნეობაა. ეს რომ დროზე გაკეთებულიყო და მიგვეცა პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება ყოველივე იმისა, თუ რა შეცდომები დავუშვით და რა სავალალო შედეგები მივიღეთ, არ მოხდებოდა ის, რაც ახლახან დატრიალდა ქვეყანაში. მაგრამ ვაი, რომ ეს ყველაფერი იგნორირებული იქნა და ამჟამად ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა. ეს ყველაფერი თქვენს მიერ დატოვებული მემკვიდრეობის შედეგია. ეს არის რეალობა და მიუკერძოებელი სიმართლე, თუ სიმართლე და ჭეშმარიტება გვაინტერესებს.

უნდა გვახსოვდეს, რომ, ძველი ბერძნებისა არ იყოს, „ძალა არა ღმერთში, არამედ სიმართლეშია". მე კი ვიტყოდი სხვაგვარად: სიმართლეა თავად ღმერთი! ეს უნდა ახსოვდეს დღევანდელ ხელისუფლებასაც. იგი ვალდებულია სამართლებრივი შეფასება მისცეს ყოველივე იმას, რაც აფხაზეთში მოხდა. ეს ადრე თუ გვიან მაინც მოხდება! დრო თვითონვე დაარქმევს ყველაფერს თავის ნამდვილ სახელს – ღალატს... დიახ, ღალატს, არნახულ და გაუგონარს – ისეთს, რომელსაც ანალოგი ძნელად თუ მოეძებნება! ღალატი, უპირველესად, ქვეყნისა და ერის უზენაესი ინტერესების, შემდეგ კი აფხაზეთის ქართველობის მიმართ!..

აი, ეს არის სიმართლე და ეს უნდა აღიაროს ხელისუფლებამ. მან, როგორც წინამორბედი ხელისუფლების სამართალმემკვიდრემ, უნდა აღიაროს ქვეყნისა და ხალხის, მათ შორის აფხაზი ხალხის წინაშე დაშვებული საბედისწერო შეცდომები და მოუხადოს მათ ბოდიში, როგორც, გერმანელმა ხალხმა გააკეთა ეს მსოფლიოს წინაშე ფაშიზმის გამო. ამით რა, შეირყა თუ უფრო ამაღლდა მსოფლიოს ხალხთა თვალწინ გერმანელი ხალხის ღირსება და ავტორიტეტი? ამიტომ იქნებ ჩვენც მივმართოთ გერმანელთა გამოცდილებას, იქნებ ჩვენც მივბაძოთ მათ, რადგან აფხაზეთში დაბრუნება და აფხაზეთის საქართველოს სამართლებრივ სივრცეში მოქცევა მხოლოდ ეთნიკურ აფხაზებთან ერთადაა შესაძლებელი, და, თუ აფხაზ ხალხთან პირდაპირი დიალოგი გვინდა, ჩვენც მოგვიწევს ამის გაკეთება. თქვენ რას იტყვით, ბატონო ედუარდ?! მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

ახლა კი იმათთვის, ვისაც ჯერ კიდევ ეჭვი ეპარება და სკეპტიკურად შეხვდება ჩემეულ შეფასებებს, მოვიყვან კიდევ ერთ გამაოგნებელ ფაქტს ამჯერად საქართველოს მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის, ბატონ ალექსანდრე ჩიკვაიძის წიგნიდან „პოლიტიკური ჭადრაკი. სამი სხვადასხვა ქვეყნის ელჩის თვალით" (თბ. ლოგოს არტი, 2004წ: „1993 წლის სექტემბერში, სოხუმის დაცემამდე 2 დღით ადრე, საკუთარ კაბინეტში ვესაუბრებოდი რუსეთის ელჩს ბატონ ზემსკის... ასეთ დროს ტელეფონის ზარი, – ყურმილის მეორე მხარეზე ვლადისლავ არძინბაა: „შევარდნაძე შემხვდეს", – მესმის ყურმილში. „მე მზად ვარ მოლაპარაკებისათვის. სადაც გინდათ, როდესაც გინდათ." მე მას ჟენევის მოლაპარაკების თემით ვპასუხობ. „მოლაპარაკება ჟენევაში ერთია, მე კი პირადად შევარდნაძე მინდა შემხვდეს. ბატონო მინისტრო, ალექსანდრ დავიდოვიჩ, ეგებ დამაკავშირდეთ, რომ მე მასთან საუბრისათვის ვარ მზად, მოვდივარ დიალოგზე", – მპასუხობს არძინბა.

ამ დროს შევარდნაძე სოხუმშია და მასთან მხოლოდ რადიოკავშირი არსებობს, ისიც მხოლოდ ვაჟა ლორთქიფანიძის საშუალებით. არძინბას ვპირდები, რომ შევეცდები პრეზიდენტთან დაკავშირებას. როგორც იქნა ტელეფონის ზარი: მკაფიოდ მესმის ვაჟა ლორთქიფანიძის ხმა: „შევარდნაძემ მითხრა, საშას გადაეცი არძინბას უთხრას, რომ ვერ მიპოვა"... დაახლოებით 10 წუთში მდივანს შემოაქვს არძინბას დეპეშა, სადაც უკანასკნელი შევარდნაძესთან სასწრაფო შეხვედრას ითხოვს"... (ციტატის დასასრულიძ.

შეგახსენებთ, ყველაფერი ეს სოხუმის დაცემამდე ორი დღით ადრე ხდებოდა!!! და თქვენ, ბატონო ედუარდ, არძინბასთან შეხვედრა და საუბარი არ გსურდათ! აქ კომენტარი ზედმეტია! ყოველ შემთხვევაში, ეს ჩემს ძალებს აღემატება, ყველაფერი ისედაც დღესავით ნათელია! იქნებ თქვენ სცადოთ, ძვირფასო მკითხველო! თუმცა ინტერესმოკლებული არ იქნებოდა, ალბათ, თავად ბატონ ედუარდის კომენტარი! და, მართლაც, თქვენ რას იტყვით, ბატონო ედუარდ?! თუმცა რამდენადმე დამაჯერებელ პასუხს ამ და სხვა კითხვებზე მე და, ალბათ, მკითხველიც, არ მოველით. ამიტომ, იქნებ სჯობდეს აღიაროთ ქვეყნის საზიანოდ დაშვებული საბედისწერო შეცდომები და საჯაროდ, ყველას გასაგონად ერისა და ბერის, ღვთისმშობლის ხატისა და უფლის წინაშე მოინანიოთ ჩადენილი ცოდვები. იქნებ, სცადოთ, ბატონო ედუარდ, ა?!...



**ნაპო მესხია,**
1991 წლის მოწვევის აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აფხაზეთი: ოცნებები ნანგრევებზე

**აფხაზეთი გამოვიდა კავკასიური კონფლიქტის მეორე ფრონტის როლში. რამდენიმე დღის შემდეგ პატარა რესპუბლიკა, რომელიც შავი ზღვისპირას მდებარეობს, საქართველოსგან თავის დამოუკიდებლობას აღნიშნავს. ეს იქნება ილუზიების დღესასწაული – ვინაიდან ეს ქვეყანა უკვე დიდ ხანია, როგორც ჟაჟვი, მიერთებულია რუსეთთან.**

რუსეთის საკონტროლო-გამშვები პუნქტი ენგურზე გამაგრებულია სილით სავსე ტომრებით. ორ ტანკს თავისი ზარბაზნები მიშვერილი აქვს ადმინისტრაციულ საზღვარზე – საქართველოსა და აფხაზეთის მიმართულებით. ბეტონის ბლოკები ავიწროვებს გზას, რომელთა შორისაც მხოლოდ ზიგზაგებით შეიძლება გავლა.

საკონტროლო-გამშვები პუნქტის მახლობლად, როგორც დაცინვა, დგას ძეგლი, რომელიც დარჩა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან: პიონერეტი თავდავიწყებული ლულით. რუსი ჯარისკაცებს პუნქტთან თავზე ახურავთ ცისფერი ჩაფხუტები აბრევიატურით „მს" (მიროტვორჩესკიე სილიძ – სამშვიდობო ძალები. მაგრამ ისინი აქ იმისთვის კი არ არიან, რომ მშვიდობა შეინარჩუნონ, არამედ იმისათვის, რომ დაიცვან იმპერიის ახალი საზღვრები. „ახლა ეს ჩვენი ქვეყანაა, – ამბობს ოფიცერი. – ოღონდ ჩვენ საქართველოსაც დავიბრუნებთ".

აფხაზეთი, რომელმაც ვერ მიიღო საერთაშორისო აღიარება, კავკასიაში კონფლიქტის დროს ასრულებდა მეორე ფრონტის როლს. როდესაც ქართული არმია შევიდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, აფხაზეთმა ისარგებლა მინიჭებული შესაძლებლობით: მან გადაწყვიტა საბოლოოდ გათავისუფლებულიყო საქართველოსგან, დამოუკიდებელი მეზობლისგან, რომელიც ჯერ ისევ აკონტროლებს აღმოსავლეთ რაიონებს. ეს მათ ძალიან სწრაფად შეძლეს რუსეთის მხარდაჭერით. „ისინი გარბოდნენ, როგორც კურდღლები", – ტრაბახობენ დღეს აფხაზი ოფიცრები.

გასულ კვირას რუსეთმა და აფხაზეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას მეგობრობის შესახებ. ეს გახდა მეორე ნაბიჯი რუსეთის მიერ აგვისტოს ბოლოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ. „ჩვენ შევუერთდებით რუსეთ-ბელორუსიის კავშირს", – განაცხადა სერგეი ბაღაფშმა, პატარა რესპუბლიკის პრეზიდენტმა. უახლოეს დღეებში ელოდებიან სამხედრო პაქტის ხელმოწერასაც.

ამით დაიწყო აფხაზეთის რუსეთთან გარდაუვალი შეერთება. „რუსეთი აგროვებს დანგრეული იმპერიის ნამსხვრევებს", – ამბობს მიხეილ ლეონტიევი, მოსკოვის ჟურნალ „პროფილის" მთავარი რედაქტორი.

აფხაზეთისთვის ეს გახდა 16-წლიანი ბრძოლის ბრწყინვალე დასასრული. 1992 წელს ქართველები შევიდნენ რესპუბლიკაში, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა – შედეგად გაჩაღდა სამოქალაქო ომი, რომელიც საქართველომ წააგო. ამ მომენტიდან რესპუბლიკაში 30 სექტემბერს აღნიშნავენ, როგორც დამოუკიდებლობის დღეს, მიუხედავად იმისა, რომ მისი დამოუკიდებლობა არ უღიარებია არც ერთ სახელმწიფოს. მაგრამ ყველაფერი შეიცვალა და ახლა ქვეყანა სულმოუთქმელად ელოდება დიდ დღესასწაულს.

სოხუმში სამხედრო მოსამსახურეები ვარჯიშობენ საპარადოდ – ქვეყნის ავტონომიის დედაქალაქის დანგრეული შენობის წინა მოედანზე. ათასობით ადამიანი მიიღებს მონაწილეობას პარადში დამოუკიდებლობის დღეს, მიმდინარეობს ტანკებისა და ჯავშნის ტექნიკის მზადება. „ეს გახდება ყველაზე შესანიშნავი დღე ჩემს ცხოვრებაში", – ამბობს ვეტერანი, რომელმაც ომში შვილი დაკარგა. „ჩვენი მსხვერპლი უნაყოფო როდი იყო", – ამბობს იგი თვალზე მომდგარი ცრემლით. ომში დაიღუპა 4 ათასი აფხაზი.

დამცველების გმირობას უმღერიან წიგნებში, ნებისმიერ ტაქსისტს შეუძლია გიამბოთ დამოუკიდებელი აფხაზეთის სამეფოს ისტორიისა და საქართველოს მხრიდან შევიწროების შესახებ, რომელმაც აუკრძალა აფხაზებს მშობლიურ ენაზე საუბარიც კი. ქუჩებში, სადაც ხელუხლებლადაა დატოვებული 1990-იანი წლების ომის იარები, ქუჩის გამყიდველები აფხაზური დროშებით ჰყიდიან რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის ფოტოსურათებს. „ჩვენ ყველაფერში ვალში ვართ მის წინაშე, – ამბობს ბუღალტერიის მუშაკი ასტანდა. – რუსეთის დახმარება რომ არ ყოფილიყო, ქართველები თავს დიდი ხნის წინათ დაგვესხმოდნენ".

მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამოფენილია დაჟანგული იარაღი და თვიფეთქებადი ყუმბარები, ფოტოგრაფიები და მოწმეები ჰყვებიან ქართველთა სამხედრო დანაშაულობებზე. „ასეთი დაუნდობელი ომის შემდეგ შეუძლებელია ერთ სახელმწიფოში ცხოვრება", – ამბობს მუზეუმის თანამშრომელი.

უმალვე, რაც რუსეთმა აღიარა აფხაზეთი, აფხაზებმა გადაწყვიტეს გაამაგრონ საზღვრები საქართველოსთან. რუსეთის დახმარებით მათ სურთ დააყენონ ინფრაწითელი გადამცემები და მოძრაობის გადამცემები. „ ჩვენ გვჭირდება კარგად დაცული საზღვარი, რათა არ შემოვუშვათ ტერორისტები და ნარკოტიკებით მოვაჭრეები", – განაცხადა აფხაზეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსმა ანატოლი ზაიცევმა.

მარამ, მიუხედავად ასეთი შეფასებისა, ყველას როდი მოსწონს ახალი პოლიტიკა – უწინარეს ყოვლისა, რესპუბლიკის აღმოსავლეთში, გალის რაიონში, სადაც უმეტესობა ქართველები ცხოვრობენ, რომელთაც ჰყავთ ნათესავები საზღვრის იქითა მხარეს.

უკმაყოფილოა ისეთი ხალხი, როგორიც ტოლიკია, გლეხი. ის ტვირთავს მისაბმელს შეშით და უნდა მისი გადატანა კონტრაბანდისტების ბილიკებით მდინარეზე. „თუ საზღვრებს გაამაგრებენ, მე დავკარგავ შემოსავლის ყველაზე დიდ წყაროს, – ამბობს იგი. – აღიარების შემდეგ ჩვენ თავს ვგრძნობთ აფხაზებისთვის გადაცემულ ადამიანებად". და მიუხედავად ამისა, მას სურს იქ დარჩენა: „აქ არის ჩემი სახლი, ჩემი ბაღი. რაც არ უნდა იყოს, ეს უკეთესია, ვიდრე ლტოლვილად ცხოვრება".

დასავლეთისკენ საზღვარი რუსეთთან გახსნილია: სასაზღვრე მდინარე ფსოუზე გავლით აფხაზეთისკენ მოემართება მრავალკილომეტრიანი, მძიმედ დატვირთული სატვირთო მანქანების კოლონები. რუსი ჯარისკაცები სდუმან ტვირთის შემადგენლობისა და დანიშნულების პუნქტის შესახებ, თუმცა აფხაზები გასცემენ რუსეთის საიდუმლოებებს: – რუსები აღადგენენ სამხედრო ბაზას ბომბორაში. სამუშაოები იქ მიმდინარეობს დღისითაც და ღამითაც. საქართველოს პროტესტის შემდეგ რუსეთმა ოფიციალურად დატოვა ბაზები 1999 წელს. იმ დროიდან მისი გამოყენება შეეძლოთ მხოლოდ სამშვიდობოებს. ამას გარდა, მოსკოვი, ეტყობა, არ ისახავს გეგმებს ოჩამჩირეში სამხედრო-საზღვაო ბაზასთან დაკავშირებით, სადაც მას შეუძლია გადაისროლოს შავი ზღვის ფლოტის გემები. „ეს იქნებოდა ჩვენი უშიშროების ყველაზე საუკეთესო გარანტია", – ამბობს აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა.

ასეთ სტუმართმოყვარეობას აქვს თავისი ფასი. უკვე რამდენიმე წელია მოსკოვი აგზავნის აფხაზეთში მილიონებს. ყველა აფხაზი პენსიონერი, რომლებსაც აქვთ რუსეთის მოქალაქეობა, ეს კი 90 პროცენტზე მეტია, იღებს რუსეთის პენსიებს. „მხოლოდ ასე შეგვიძლია გადავრჩეთ, – ამბობს პენსიონერი ჟურნალისტი ირინა. – აფხაზური პენსია შეადგენს 200 რუბლს, ესე იგი დაახლოებით 8 დოლარს. მოსკოვიდან მე ვღებულობ 2000 რუბლს – ათჯერ უფრო მეტს".




რუსები აქ უყვართ: 200 ათასმა ტურისტმა დაისვენა აფხაზეთში შარშან, უწინარეს ყოვლისა, გაგრასა და ბიჭვინთაში, რომლებიც საბჭოთა წლებში ითვლებოდნენ იმპერიის ყველაზე ცნობილ კურორტებად. „ჩვენ გვსურს განვავითაროთ ტურისტული ინფრასტრუქტურა", – ამბობს ეკონომიკის მინისტრი ქრისტინა ოზგანი. ის 35 წლისაა, თავისი სამუშაოს პარალელურად იგი წერს დისერტაციას მოსკოვის უნივერსიტეტში. რუსეთის ინვესტორები უკვე მზად არიან. მოსკოვის მერს იური ლუჟკოვს უნდა ბიჭვინთაში ააშენოს ახალი სანატორიუმი.

ერთ-ერთმა მოსკოვურმა კომპანიამ იყიდა სასტუმრო „აფხაზეთის" ნანგრევები. ოლიგარქი ოლეგ დერიპასკა გახდა სტალინის ყოფილი აგარაკის მფლობელი – მიუხედავად იმისა, რომ ეს აგარაკი მოხვედრილია კანონში არქიტექტურის ძეგლების დაცვის შესახებ. „რუსებმა მხარი დაგვიჭირეს მძიმე პერიოდში, – ამბობს მინისტრი ოზგანი. – ჩვენც არ უნდა ჩამოვრჩეთ მათ". ეს „არ ჩამორჩენა" გვაგონებს ყველაფრის გაყიდვას. ასობით ბინა და სახლი სოხუმში, რომლებიც ეკუთვნის ლტოლვილ ქართველებს, მიჰყიდეს რუსებს. თანაც უკანასკნელთათვის ეს მეტად ხელსაყრელი შენაძენია. მას შემდეგ, რაც 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის ჩატარების უფლება მიენიჭა რუსეთის ქალაქ სოჭს, რომელიც მდებარეობს საზღვრის მახლობლად, ფასები უძრავ ქონებაზე გასამმაგდა. დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ კი მათი ფასი კიდევ 50 პროცენტით გაიზარდა.

მოსკოველმა მარიამ, რომელიც ყოველ საღამოს ასეირნებს თავის ტაქსას სოხუმში სანაპიროზე, უკვე იყიდა სამი ბინა და ერთი სახლი. „შარშან სახლში 17 ათასი დოლარი გადავიხადე. დღეს ამ ფასად ერთ ბინასაც ვერ იყიდი". მარიას არ ეშინია ყოფილი მფლობელებისა. „ისინი, ალბათ, ვეღარ დაბრუნდებიან".

სოჭის ოლიმპიადა მნიშვნელოვანი მოვლენა გახდება შავი ზღვისპირა რესპუბლიკის მომავლისთვის. მაგრამ ამასთან ერთად იგი საბოლოოდ განამტკიცებს დამოკიდებულებას რუსეთისგან: აფხაზეთი სოჭის მშენებლობისთვის გაგზავნის სამშენებლო მასალებს.

ქვეყანაში არის საჭირო ნედლეული ცემენტის მრეწველობისათვის, თაბაშირი და ქვიშა, გრანიტი და დოლომიტი. მათი საბადოები სოჭიდან სულ რაღაც 100 კილომეტრშია. რუსები აფართოებენ სოხუმის აეროპორტსაც.

100 ათასი გასტერბაიტერი, რომლებიც იმუშავებენ ოლიმპიური ობიექტების მშენებლობაზე, ნაწილობრივ განთავსდება პატარა მეზობლის ტერიტორიაზე. აფხაზი გლეხები მოამარაგებენ ოლიმპიურ თამაშებს პურითა და ყველით, ღვინით და ფორთოხლით. „აფხაზეთი ოლიმპიადაზე გამოიმუშავებს ბევრ ფულს", – ოცნებობს ოზგანი. საკითხი შეეხება დაახლოებით 600 მილიონი დოლარის ინვესტიციებს. მარტო დაგეგმილი ფაბრიკა ტყვარჩელში ეღირება 170 მილიონი დოლარი. მაგრამ თითოეულ დოლართან ერთად იზრდება დამოკიდებულებაც.

აფხაზეთს სასწრაფოდ სჭირდება ინვესტიციები. მხოლოდ თითოეულ მეხუთე სამრეწველო საწარმოს შეუძლია ფუნქციონირება, ბევრი სახლი და ქუჩა დანგრეულია, საღამოს 7 საათის შემდეგ აღარ დადის ავტობუსები. მთვრალი მილიციონერები, რომლებიც გზისპირას არემონტებენ თავიანთ ძველ „ლადას", ტაქსისტებად მუშაობენ.

მდგომარეობა ტყვარჩელში კი, აფხაზეთის ამ სამრეწველო ცენტრში, პირდაპირ კატასტროფულია. ქალაქი ალყაში იყო წელიწადზე მეტი. „ჩვენ მეორე ლენინგრადი ვართ", – ამბობს ანატოლი არჟბა, ინჟინერი, რომელიც ახლა იცავს იმას, რაც დარჩა მისი ქვანახშირის ელექტროსადგურიდან. მისგან კი დარჩა მხოლოდ ლუმელები. „ჩვენ ყველაფერს ხელახლა ავაშენებთ, – დარწმუნებულია ანატოლი. – ოღონდ მშვიდობა იყოს და ხუთ წელიწადში ჩვენ ყველაფერს მოვასწრებთ ოლიმპიადამდე".

**ანჯეი რიბაკი**

FINANCIAL TIMES

# ომმა საქართველოში რუსეთის წინაშე შიში გამოიწვია

**რუსეთის ამასწინანდელმა შეჭრამ საქართველოში მკვეთრად გაზარდა იმ ევროპელთა რიცხვი, რომლებსაც მოსკოვის პოლიტიკა მიაჩნიათ მშვიდობის მთავარ საფრთხედ.**

ამას მოწმობს სამშაბათს გამოქვეყნებული გამოკითხვის შედეგები, რომელიც ჰარისის სამსახურმა მოაწყო ბრიტანეთში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთსა და გერმანიაში გაზეთ „ფაინენშელ ტაიმსის" შეკვეთით.

2008 წლის ივლისთან შედარებით, როდესაც მოეწყო ანალოგიური გამოკითხვა, იმათი რიცხვი, ვისაც რუსეთი მიაჩნია პლანეტის ყველაზე საშიშ სახელმწიფოდ, გაიზარდა ორიდან 18 პროცენტამდე.

რუსეთი ამ მაჩვენებლით მესამე ადგილზეა მსოფლიოში. ყველაზე საშიშად ევროპელებს ძველებურად მიაჩნიათ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა (27 პროცენტი), მას მოსდევს ჩინეთი (21 პროცენტი).

მაგრამ დამოკიდებულება ამერიკასთანაც და ჩინეთთანაც უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში გაუმჯობესდა. ივლისში ევროპელების 29 პროცენტს ისინი მიაჩნდათ ძირითად საფრთხედ.

უკანასკნელი გამოკითხვის შემდეგ არ შეცვლილა დამოკიდებულება ირანთან (14 პროცენტი). ოდნავ ნაკლები გახდნენ ისინი, ვისაც მთავარ საფრთხედ მიაჩნია მდგომარეობა ერაყში (9 პროცენტი, ივლისის 10 პროცენტთან შედარებით).

ამავე დროს ევროპელთა უმრავლესობას, სოციოლოგების მონაცემებით, არ სურს უშიშროების გულისთვის გაწირონ თავიანთი კეთილდღეობა.

იმათი რიცხვი, ვინც ეწინააღმდეგება სამხედრო ხარჯების გაზრდას სოციალურის ხარჯზე, მერყეობს 50 პროცენტიდან ბრიტანეთში, 77 პროცენტამდე ესპანეთში. სხვებთან შედარებით მეტი იტალიელია მზად, რომ მოიჭიროს ქამრები (12 პროცენტი), ყველაზე ნაკლები კი – გერმანელები და ესპანელები (7-7 პროცენტი).

საერთოდ, ყველა მაჩვენებლის მიხედვით, ევროპის ყველაზე პაციფისტური ქვეყანაა გერმანია.

გაიზარდა აგრეთვე იმათი რიცხვი, ვისაც რუსეთის ეშინია.

რუსეთში კი მკაცრ პოლიტიკას ფართოდ უჭერენ მხარს.

„ფაინენშელ ტაიმსი" აქვეყნებს ლევადა-ცენტრისა და „საზოგადოებრივი აზრის" ფონდის უკანასკნელი გამოკითხვების მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც რუსეთელთა 59 პროცენტი მას მიიჩნევს „ეფექტიანად", 82 პროცენტი დარწმუნებულია, რომ რუსეთი უნდა ეცადოს გახდეს მსოფლიოში ყველაზე ძლიერი, ხოლო 60 პროცენტს სჯერა, რომ მათი ქვეყანა ისედაც ზესახელმწიფოა.

უმეტესობა აგრეთვე მიიჩნევს, რომ დასავლეთთან ურთიერთობის გაუარესება ქვეყნის კეთილდღეობაზე არ აისახება.

BBC RUSSIAN.com

კურორტი და დამსვენებელი

# ქობულეთი – რკინაბეტონის „ჩოხა-ახალუხში"



**მე და ჩემი განუყრელი მეგობარი გუბაზი ქობულეთს წლეულსაც, ისევე როგორც ყოველთვის, სექტემბრის ხავერდოვან სეზონზე ვეწვიეთ, ზღვის მოლივლივე ტალღებში საყურყუმალაოდ და სანაპიროზე გაყოლებული უნიკალური ფიჭვნარის ცელქი ნიავით ფილტვების დასაბერად. ვერ გეტყვით ჩვენი მწირი ფინანსური შესაძლებლობების მქონე პენსიონერებმა ამის გაკეთება სულ რაღაც ერთ კვირაში რამდენად შევძელით, მაგრამ ამ მცირე დროის მანძილზეც იმდენი საფიქრალი და სათქმელი დაგვიგროვდა, რომ მისი მკითხველისთვის გაზიარება, ვფიქრობ, სრულყოფილი დასვენებისა და სიამოვნების დანაკლისს ერთგვარად მაინც აგვინაზღაურებს.**

რით დავიწყო? აი თუნდაც სანაპიროთი, სადაც მე და გუბაზი, სხვა დამსვენებლებთან ერთად, დილაობით ძუნძულით დავრბოდით, ხოლო საღამოობით ზღვიდან მონაბერ ჟანგბად-იოდით მაძღარ ჰაერს ხარბად ვყლაპავდით და რუსი აგრესორების მიერ ომით მოყენებულ გაუნელებელ ტკივილზე გაუთავებლად ვსაუბრობდით. თუმცა ამ „ბედნიერებით" ტკბობის განცდას წამდაუწუმ გვირღვევდნენ ფერად-ფერადი ფილებით მოპირკეთებულ სანაპიროზე მოჯირითე ავტომანქანები, მოტოციკლეტები და ველოსიპედები, რომლებიც დამსვენებლებს სხვა უკეთურობასთან ერთად ფიზიკურ საფრთხესაც უქმნიდნენ. ვიღაც ველოსიპედზე ამხედრებულმა „სპორტსმენმა" მე, მაგალითად, გვერდი გამკრა და კინაღამ მიწაზე დამანარცხა.

— ვინ არის ეს თავხედი, ასე გიჟივით რომ დარბის! — იყვირა გუბაზმა. ველომხედარმა, ეტყობა, გაიგო ეს სიტყვები, ორთვალა სასწრაფოდ დაამუხრუჭა და თავზე დაგვრჩხავლა:

— რაო, რაო? აბა ერთი გაიმეორეთ, რა თქვით, ვაჟბატონებო?

— ისა ვთქვი, რაც დაიმსახურე, — თავის მხრივ აიფოფრა გუბაზიც,—ოხერისა და მუტრუკის გარდა სხვა ვინ მოიქცევა ასე თავხედურად?

— შენ მე მეუბნები ამას? — გაიკვირვა ახმახმა, — იცი, ვის ელაპარაკები, ბებერო? მოკეტე, თორემ აქვე გაგათავებ.

— რაო, მემუქრები კიდეც? ახლავე პატრულს გამოვუძახებ, — თქვა ფერწასულმა გუბაზმა და სასწრაფოდ ჯიბიდან მობილური დააძრო.

— პატრულს თორემ...ემანდ ყურებზე ხახვი არ დამაჭრას. ბედი თქვენი, რომ ბებრები ხართ, თორემ ვერც ერთი ცოცხალი ვერ გადამირჩებოდით, — დაგვამადლა თავი ველომხედარმა, მერე თავის ორთვალას ლომგულად გადააბოტა და დაგაზა...

— აი, რო გიყვარს უშნო შეკამათება და ჭინჭყლი, ახლა ეგ ბიჭი მართლა ოხერი და ახვარი რომ გამომდგარიყო, ხომ გაგვაგორებდა? — ვუსაყვედურე გუბაზს „სპორტსმენის" გაუჩინარების შემდეგ, — პატრულით რომ აშინებდი, აგერ ჩვენს გვერდით შენობაში არ არიან ბინად? აბა ერთხელ მაინც თუ დაგინახავს, რომ სანაპიროზე მოთარეშე ავტომფლობელებისთვის ან მოტოციკლეტითა და ველოსიპედით მორბენალთათვის უზრალო შენიშვნა მაინც მიეცათ? ეტყობა, არ არის ეს მაგათი საქმე და შენ რატომ ავალდებულებ?!...

— რახან ცოცხლები გადავრჩით, მოდი ამ საღამოს სანატორიუმ „საქართველოსკენ" გავისეირნოთ, — შემომთავაზა გუბაზმა მეორე დღეს.

— იქ ახლა სანატორიუმი კი არა, ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა, — შევუსწორე მეგობარს, — იცი, ნომერი ერთი ღამით რა ღირს? მგონი 200 დოლარი და უფრო მეტი. გუბაზს თვალები დაუელმდა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

ცოტა ვიარეთ თუ ბევრი ვიარეთ, ნასანატორიუმალ, ფეშენებელურ სასტუმროს მივადექით. გუბაზმა სართულების თვლა დაიწყო. ვა, რამ სიმაღლე აუშენებიათ, გაიკვირვა, მოდი შევიდეთ. რა თქმა უნდა, დავეთანხმე და შესვლაც დავაპირეთ, მაგრამ...

— სად მიდიხართ? — გადაგვიდგა წინ დაცვის ფორმაში გამოწყობილი მუშაკი.

— სასტუმროში, დათვალიერება გვინდა.

— არ შეიძლება, მიბრძანდით უკან! — თქვა კატეგორიულად.

— რატომ არ შეიძლება, ქართველები ვართ, ამერიკელები ხომ არა. დავათვალიერებთ, თუ მოგვეწონა, ნომერსაც ავიღებთ, — იცრუა გუბაზმა.

— მაინც არ შეიძლება, — გაგვიმეორა კიდევ ერთხელ და ეზოს კარი მოგვიხურა.

— შენცა ხარ რა, — ვუსაყვედურე მეგობარს, — რომ ეუბნები ამერიკელები ხომ არა ვართო, მანდ სწორედ ფულიანი უცხოელები უნდათ, ჩემო ძმაო, და არა ღატაკი ქართველები.

— რა შეგვატყო, რომ ფული არა გვაქვს? — აიმრიზა გუბაზი.

— იმან რომ არ შეგატყოს, შენ თვითონ არ იცი, რომ ჯიბეგაფხეკილი ხარ? აბა ნახე, სასტუმროს ეზო სულ ჯიპჩეროკებითა და მერსედესებით არის გავსებული. ჩვენსავით ფეხით მოჩანჩალე მანდ ნომრის ასაღებად არ მივა.

— ეჰ, რა დრო მოვიდა! — ამოიოხრა გუბაზმა, — იყო პერიოდი, როცა აქაურ სანატორიუმში ყოველწლიურად 24-დღიანი საგზურით ვისვენებდი, ვიკვებებოდი, ვმკურნალობდი და ყოველივე ამაში სულ რაღაც 36 მანეთს ვიხდიდი. მაშინ მინისტრი იყავი, მუშა თუ პედაგოგი, განსხვავება არ იყო, ყველა თანაბარი უფლებით სარგებლობდა. ახლა კი, ხომ ხედავ, უფულო კაცს სასტუმროს ეზოშიც აღარ უშვებენ.

— ისე მაგარი რამე კი აუგიათ, — შევნიშნე, — ვერც არქიტექტურას დაუწუნებ და ვერც ინფრასტრუქტურას, ეზოც რა ლამაზი აქვს – ცისფრად მოლივლივე აუზით...

— მაგრამ ფიჭვნარი რომ გაუჩეხიათ, —მომიტრიალდა გუბაზი, — ამაზე რაღას იტყვი? ერთი ტანკენარი ფიჭვი მირჩევნია მთელ ამ შენს ევროპულ ზიზილ-პიპილოს. აუზი თუ არ იყო, ჩემო ძმაო, ზღვაშიც მშვენივრად იბანავებ, მაგრამ საუკუნოვან ფიჭვებს ვილა გააცოცხლებს?

რაღას ვიტყოდი, გავჩუმდი. ეს გამონაკლისი რომ იყოს, კიდევ ჰო, მაგრამ, როგორც ჩანს, ქობულეთში სასტუმროების, საცხოვრებელი კორპუსებისა და კერძო ბინების მშენებლობის ხარჯზე მასობრივად იჭრება და ჩანაგდება ენდემური ფიჭვნარი, რომელიც უნიკალურია საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში. მშვენიერი, თვალ და გულგასახარი აგარაკი მოაწყო „კოკა-კოლას" თავკაცმა თემურ ჭყონიამ, მაგრამ როგორც ქობულეთელები ამბობენ, მის ამ პირად კეთილდღეობას სულ მცირე 20-25 ძირი ფიჭვი მაინც შეეწირა.

ღვთის მადლით აქ ნაგებობა და ეზო მაინც ნორმალურად გამოიყურება, მაგრამ მისგან ცოტა მოცილებით (თამარ მეფის სანაპირო №138ძ) იმხელა ბეტონის მახინჯი ჩაუკვეხებიათ, რომ მის სიახლოვეს ხეს ხომ ვეღარ დალანდავთ და ზღვაც თითქოს წელში მოკუნტულა.

— ვინ აშენებს ამხელა ვერზილას? — ვიკითხეთ შეცბუნებულ-შეშინებულებმა.

— აგერ გამოკრულია და წაიკითხეთ, — უკმეხად მოგვიგდო ხმელხმელმა, მოქერაო მამაკაცმა, რომელმაც გვარის გამხელა არ ისურვა. მშენებლები ჩვენა ვართ (შპს „გიო 207"ძ, ნებართვის გამცემი — ეკონომიკის სამინისტრო, ხოლო მეპატრონე— ეკა ტყეშელაშვილი.

— ვა, ჩვენი ეკუნია? — გაიკვირვა გუბაზმა, — მომკალი და ვერ დავიჯერებ, ქვეყნის პირველ დიპლომატს, რომელიც მთელი დრო თვითმფრინავებში და საერთაშორისო შეხვედრებზეა, სამშენებლოდ ვინ მოაცლის ან ამდენ თანხას საიდან მოაგროვებს?

— ვა, შენცა ხარ რა, — იწყინა ხმელხმელმა, — მე გეუბნები რო აქა ზისმეთქი? შენობას ჩვენ ვაშენებთ, ის კი გვაფინანსებს. ფული საიდან აქვს, რა ჩემი საქმეა. შეიძლება სულაც ბანკიდან აილო სესხი. აბა შეხედე შენობას, რამ სიმაღლეა (დავითვალე, 10 სართული გამოვიდა) და რამ სიგრძეზეა გადაჭიმული. ერთი კვადრატული მეტრი ფართობი 1300 დოლარად იყიდება. ეს თანხა, ჩემო ძმაო, ბანკის ვალსაც გაისტუმრებს და, როგორც შენ უწოდე, ეკუნიასაც ბლომად ფული დარჩება.

რა უნდა გვეპასუხა, იქვე, რამდენიმე მეტრში გაწოლილი ზღვის წყალი პირში ჩავიგუბეთ და გამოვბრუნდით. თუმცა გულმა არ გაგვიძლო, ცნობისმოყვარეობამ გვძლია და მეორე საღამოს თვალი დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მშენებარე ობიექტებსაც შევავლეთ. აქაც იგივე სურათი დაგვხვდა, ერთგან, კერძოდ, ამავე ქუჩის 290 ა ნომერში, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ეზოს კარზე გამოკრულმა „საჯარო ინფორმაციამ" (ზუსტად ასე ეწერა), რომელიც დაინტერესებულ პირებს აუწყებს, რომ აქ 2008-2009 წლებში აშენდება 9-სართულიანი სახლი. მასშივე ამოვიკითხეთ, რომ მშენებლობის დამკვეთია შპს „გენო და კომპანია 2008"-ის დირექტორ გენადი ნოღაიდელი, ხოლო ნებართვის გამცემი ორგანო — ქობულეთის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური.

— დახე, ამათ, — ვეუბნები გუბაზს, — ქობულეთში მარტო არქიტექტურისა კი არა, სივრცითი მოწყობის სამსახურიც ჰქონიათ. ამ ციცქნა ეზოში 9-სართულიანი სახლი თუ ჩაჭედეს, ხომ წარმოგიდგენია, როგორი არქიტექტურული დონისა და სივრცით გალაღებული ნაგებობა გამოუვათ?

— აგაშენათ ღმერთმა, — გვითხრა ეზოს წინ სამფეხა სკამიდან წამოხტარმა ასაკოვანმა, სათვალიანმა მამაკაცმა (ეტყობოდა, ჩვენ საუბარს მოჰკრა ყური), მეზობლებიც მაგას არა ვდავობთ, მაგრამ ვინ გვისმენს. მე ამ სახლის — დავით აღმაშენებლის ქ.№290-ის მეპატრონე თამაზ გოგიტიძე გახლავართ, მეორე მეზობელიც ჩემი მოგვარეა — რუსიკო გოგიტიძე, ეზოს მესაკუთრე კი ჯულიეტა ქათამაძე, რომელიც სადღაც მიკარგულ სოფელში, უფრო სწორედ, ტყეში ცხოვრობს. ის ისევეა სახლის ამშენებელი, ჩემო ბატონო, როგორც ქობულეთის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი ზაალ ბაჯელიძე — არქიტექტორი.

— როგორ კაცო, ქალაქის არქიტექტორი აბა ვეტექიმი ხომ არ იქნება?— შევიცხადეთ.

— არც ეგ გაგიკვირდეთ, თვითონვე განგვიცხადა, არქიტექტორი არა ვარ და მშენებლობის საკითხებში ვერ ვერკვევიო. ჰოდა, ასეთი კაცი აბა ჩვენ როგორ გაგვარკვევს, რისი უფლება გვაქვს, ან რა პარამეტრის მქონე შენობის აგება შეიძლება ამ მცირე ეზოში. ერთი ფაქტია, ეზო სულ 1000 კვადრატულ მეტრამდეა, ხუთ და ცხრასართულიან სახლს კი დაახლოებით 2500-3000 კვ მეტრი ფართობი სჭირდება. აქ თუ ცათამბჯენი წამოიჭიმეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ასაკოვან კაცს მზის ყურებას და ჰაერის სუნთქვასაც აუკრძალავენ. მე ავღანეთში ნაბრძოლი კაცი ვარ და ცოცხალი თავით ასეთ უსამართლობას არ დავუშვებ!

თამაზ გოგიტიძის სიტყვები გულში ჩამრჩა და დედაქალაქში დაბრუნებისთანავე ამ საკითხის დასაზუსტებლად ნაცნობ არქიტექტორებს გამოვესაუბრე. აბა რა გითხრათ, განაცხადეს მათ, მსოფლიოში არის ქალაქები, სადაც განსაზღვრულზე მეტი სიმაღლის სახლის აგება არ შეიძლება, მაგალითად, ვაშინგტონში კაპიტოლიუმზე მაღალი შენობის აშენება აკრძალულია. ჩვენთან კი ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული. თვით დედაქალაქში განაშენიანების გენგეგმაც კი არ გაგვაჩნია და ქობულეთს რა მოვკითხოთ. ერთადერთ ნორმატივად 1974 წელს მიღებული სახმშენის განკარგულება შემოგვრჩა, რომლის მიხედვითაც მეზობლის მიჯნიდან, მისი ნოტარიული წესით დამოწმებული თანხმობის გარეშე, 5 მეტრზე ახლოს სახლის აგება არ შეიძლება. თუმცა ამშენებელს შეუძლია ყრუ კედელი აიყვანოს და მანძილის დაცვაზე ვერავინ შეედავება. ასე რომ, გოგიტიძეებს შეუძლიათ, მშენებელს „ცათამბჯენის" აგების ჟინმა თუ არ გადაუარა, მათი მიჯნიდან 5 მეტრზე ახლოს აშენების უფლება არ მისცენ, ყრუ კედლები კი თუ აიყვანა, თავად თუ დაიტყვევებს თავს, თორემ მასში დამსვენებლებს, ბუნებრივია, ფეხსაც ვერ შეადგმევინებს.

ასეა ეს, ჩემო ბატონო, როგორც მსგავს შემთხვევაში დათა თუთაშხია იტყოდა, მაგრამ დღეს ისეთი ცხოვრება გვაქვს, აღარც აბრაგის ნათქვამისა სწამს ვინმეს და აღარც კანონისა, მორალსა და ზნეობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. კანონი რომც გვქონდეს, რა თავში ვიხლით, თუ მას არავინ დაიცავს? ასეა დღეს ქობულეთში, მოდის ფულიანი კაცი, რომელიც კანონსაც გვითქერავს, ჯანმრთელობის ძეგლად მდგარ ფიჭვნარსაც და სამომავლო იმედსაც.

ფრთხილად, ძმებო! ქობულეთი საკურორტო მოსასხამს იხსნის და ნელნელა ტანზე რკინაბეტონის „ჩოხა-ახალუხს" ირგებს...

**ოთარ ხუციშვილი**

საიდუმლო სამსახური

# რუსეთის საეჭვო დუმილი და მოტყუებული ქართული დაზვერვა

***დაზვერვის სამსახურის ძირითადი მიზანია მტრის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მოპოვება. საომარი მოქმედებების დაწყების წინ მოპოვებული ყოველი ინფორმაცია ზოგჯერ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შეიარაღებული კონფლიქტის დროს.***

## გამარჯვების უხილავი შემოქმედნი

**რამდენიმე დღის წინათ მოსკოვში, კრემლში მოხდა 50 რუსი ოფიცრის სახელმწიფო ორდენებით, მედლებითა და ძვირადღირებული საჩუქრებით დაჯილდოება.** მათგან უმეტესობას დაენიშნა სამთავრობო პენსიები. ქართველების ხოცვაჟლეტის, მაროდიორობისა და კიდევ ბევრი სხვა სამხედრო დანაშაულების ჩამდენთა რფ-ს უმაღლესი ხელისუფლების მხრიდან დაჯილდოებისა და წახალისების ფაქტები არახალია. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია ის, რომ 50-ივე დაჯილდოებული ოფიცერი დაზვერვის თანამშრომელია.

როგორც გაირკვა, რუსული საზოგადოების, მასმედიის წარმომადგენელთა ერთი ნაწილი წახალისებას არასწორად მიიჩნევს. ცნობილი რუსი ჟურნალისტი ვლადიმერ ერმოლინი წერს, რომ ქართველების მიერ ცხინვალის აღება (მართალია ცოტა ხნით, რუსეთის სადაზვერვო სამსახურების დიდი შეცდომა იყო, ხოლო მათი დაჯილდოება შეცდომაზე მეტი.

ერმოლინი გამოქვეყნებულ სტატიაში ეხება ცხინვალის კონფლიქტის დროს რუსეთში შექმნილ მდგომარეობას. მედვედევი იმ დროს სამარაში საპრეზიდენტო აგარაკზე იმყოფებოდა, პუტინი და უშიშროების საბჭოს მდივანი ჩინეთში იყვნენ. ასე გრძელდებოდა 8 აგვისტომდე. სპეცსამსახურებიდან კი ხელისუფლებაში არავითარი ინფორმაცია არ ვრცელდებოდა ქართველთა მოსალოდნელი შეტევის შესახებ, — ამბობს რუსი ჟურნალისტი.

იხ. 11 გვ.

ძიუდო

# აქედანვე ემზადებიან

**ნოემბრის ბოლო დეკადაში ზაგრები (ხორვატეთი) 23 წლის ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. სხვადასხვა მიზეზით ჩვენს ფალავნებს ბოლო ორი წლის განმავლობაში მსგავს შეჯიბრებაზე არ უასპარეზიათ.** ისინი წლევანდელი სეზონის ჩაგდებას არ აპირებენ, ამიტომ ჩემპიონატისთვის აქედანვე ემზადებიან. ერთ-ერთი ეტაპი საქართველოს პირველობა იყო, რომელშიც ქვეყნის ყველა რეგიონის 200 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ფავორიტთაგან შეჯიბრებაზე არ გამოცხადდა ვალერი ლიპარტელიანი (90 კგ), რომელიც ამას წინათ ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი გახდა, ახლა კი ეროვნულ ნაკრებთან ერთად საწვრთნელ შეკრებაზეა და მსოფლიო თასის გათამაშებისთვის ემზადება. ამ პაექრობას იაპონია უმასპინძლებს და მთავარი პრიზისთვის 8 ნაკრები (ევროპიდან – საქართველო და რუსეთი, აზიიდან – იაპონია და კორეა, ამერიკიდან – ბრაზილია და კუბა, აფრიკიდან – ეგვიპტე და ალჟირი) იბრძოლებს.



თბილისის არმიის სასპორტო კლუბის დარბაზში გამართულ პირველობაზე გულშემატკივრები და სპეციალისტები მოიხიბლნენ გია წიკლაურისა და ნოდარ მებალიშვილის, გიორგი ეპიტაშვილისა და თამაზ მუთოშვილის, დავით ლორიაშვილისა და მალხაზ ნიჟარაძის ფინალური ორთაბრძოლებით.

– ნოემბრის დასაწყისში ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას გავივლით, – გვითხრა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბორის ფირცხელიანმა. – შემდეგ დავასახელებთ გუნდის იმ შემადგენლობას, რომელიც ზაგრებს გაემგზავრება. ვეცდებით, ხორვატეთში თავი არ შევირცხვინოთ.

**კვარცხლბეკი**

**60 კგ.** 1. ბეთქილ შუკვანი (მცხეთა-მთიანეთი), 2. ამირან პაპინაშვილი (აჭარა), 3. ლევან ჩუბინიძე (იმერეთი) და სოსო ნიჟარაძე (ქვემო ქართლი).

**66 კგ.** 1. ვანო დავითაშვილი (კახეთი), 2. უჩა ხუციშვილი (აჭარა), 3. ბექა ზერიაშვილი (თბილისი) და ზვიად კაპანაძე (შიდა ქართლი).

**73.** 1. თენგიზ პაპოშვილი (კახეთი), 2. ამზაკო ავალიანი (ქვემო ქართლი), 3. ბიძინა სამუკაშვილი (კახეთი) და ზვიად ბაზანდარაშვილი (შიდა ქართლი).

**81 კგ.** 1. გია წიკლაური (სამცხე-ჯავახეთი), 2. ნოდარ მებალიშვილი (კახეთი), 3. გოჩა ლომთაძე (იმერეთი) და ვახტანგ სარაჯიშვილი (კახეთი).

**90 კგ.** 1. გიორგი ეპიტაშვილი (ქვემო ქართლი), 2. თამაზ მუთოშვილი 3. ზვიად გოგოჭური (ორივე – კახეთი) და ლაშა გურული (იმერეთი).

**100 კგ.** 1. დავით ლორიაშვილი (ქვემო ქართლი), 2. მალხაზ ნიჟარაძე, 3. რევაზ მიქაბერიძე (ორივე – იმერეთი) და სანდრო თევდორაშვილი (თბილისი).

**+100 კგ.** 1. ადამ ოქრუაშვილი (მცხეთა-მთიანეთი), 2. ვახტანგ ზოიძე (აჭარა), 3. მირიან გონჯილაშვილი (კახეთი) და ვანო გოგოლაშვილი (თბილისი).

**გიორგი გაგუა**

სამბო

# უძლიერესი ფალავნების მონაწილეობით



**თბილისში ორ დღეს გრძელდებოდა სამბისტთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 180 მოჭიდავე ცდიდა ძალებს. შეჯიბრებაში, ფაქტობრივად, ყველა უძლიერესი მონაწილეობდა, რადგან ამ შედეგებით უნდა დაკომპლექტდეს ქვეყნის ნაკრები ნოემბერში მსოფლიო ჩემპიონატზე საასპარეზოდ, ეს უკანასკნელი კი პეტერბურგშია დაგეგმილი. ჩვენი სამბისტები წლის მთვარ პაექრობამდე საწვრთნელ შეკრებასაც გაივლიან.**

**გაუწყებთ ჩემპიონატის გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას წონითი კატეგორიების მიხედვით:**

**52 კგ.** 1. უშანგი კუზანაშვილი (საგარეჯო), 2. დიმიტრი მულაძე, 3. თამაზ ნოზაძე (ორივე – ხაშური) და ნუკრი ბერაია (ფოთი).

**57 კგ.** 1. ილია პაპინაშვილი (აგარა), 2. ავთანდილ ცინცაძე (მცხეთა), 3. თემურ ნასყიდაშვილი და გიორგი ნასყიდაშვილი (ორივე – ზესტაფონი).

**62 კგ.** 1. გელა ბარათაშვილი (ქარელი) 2. ნუკრი პავლიაშვილი (მცხეთა), 3. ნიკო ნეფარიძე (ქუთაისი) და მინდია ლილუაშვილი (ზესტაფონი).

**68 კგ.** 1. გელა სანიკიძე (ქუთაისი), 2. ნოდარ მჭედლიშვილი (საგარეჯო), 3. ლევან ნახუცრიშვილი (მცხეთა) და ბექა იმერლიშვილი (გარდაბანი).

**74 კგ.** 1. ვანო ბერიძე (ფოთი), 2. დათო კოზერიძე (თბილისი), 3. ოთარ ახალაია (ზუგდიდი) და გიორგი ქაცარიძე (ზესტაფონი).

**82 კგ.** 1. ნიკა კუცია (ფოთი), 2. ლევან გოზეჯიშვილი (საგარეჯო), 3. სოსო წელაური (თბილისი) და გიორგი ჭაბუკაშვილი (გორი).

**90 კგ.** 1. მინდია ბოდველი (თბილისი), 2. ლაშა გურული (ქუთაისი), 3. გიორგი ცოციაშვილი (მცხეთა) და ზვიად გოგოჭური (ახმეტა).

**100 კგ.** 1. გიორგი ბოლოთაშვილი (გორი), 2. ფრიდონ აბულაძე (ახმეტა), 3. ჯემალ განჯელაშვილი (გორი) და გიორგი პირველაშვილი (ზესტაფონი).

**მძიმე წონა:** 1. ალექსი დავითაშვილი (ახმეტა), 2. ზვიად ჩინჩალაძე (რუსთავი), 3. დავით ბოჭორიშვილი (ქუთაისი) და ვახტანგ ზოიძე (აჭარა).

ჩოგბურთი

# გაისად ლიტვას ვუმასპინძლებთ



**უკვე გაუწყეთ,რომ „დევისის თასის“ გათამაშებაზე საქართველოს ნაკრებმა ბელორუსის ეროვნულ გუნდთან წააგო მატჩი და ევრო-აფრიკული პირველი ზონაც დათმო.** მეორე ზონაში 16-მა ნაკრებმა მოიყარა თავი. ჩვენებს სხვებზე უკეთესი რეიტინგი აღმოაჩნდათ და პირველ ნომრად განთესეს. კენჭისყრის შემდეგ მეტოქედ ლიტვის ნაკრები გვერგო. შეხვედრა თბილისში 6-8 მარტს გაიმართება. წარმატების შემთხვევაში საქართველო სლოვენია-ეგვიპტეს შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება.

ჭადრაკი

# კვარცხლბეკიდან არ ჩამოდის



**ამას წინათ იურმალაში საჭადრაკო კომპოზიტორთა მსოფლიოს კონგრესი გაიმართა, სადაც საჭადრაკო კომპოზიციაში 2004-2006 წლების ინდივიდუალური მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგები დამტკიცდა.** სპეციალურმა ჟიურიმ ოთხბალიანი სისტემით შეაფასა 47 საჭადრაკო კომპოზიტორის ექვს-ექვსი ნამუშევარი. მოსკოველმა ოლეგ პერვაკოვმა, სანქტპეტერბურგელმა ალექსეი სოჩნევმა და თბილისელმა დიდოსტატმა დავით გურგენიძემ 39,5-39,5 ქულა მოაგროვეს. ჟიურის წევრთა გადაწყვეტილებით, საპრიზო ადგილები სწორედ ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა.



შეგახსენებთ, რომ დავით გურგენიძე საჭადრაკო კომპოზიციებში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონია (1997 და 1998-2000 წ.წ.) და ერთხელ (2001-2003 წ.წ.) მესამე ადგილი დაიკავა. მედლების საკუთარი კოლექცია მან ამჯერად კიდევ ერთი „ბრინჯაოთი“ გაამდიდრა.

საგულისხმოა, რომ იურმალაში გამართულ კონგრესზე თბილისელი საჭადრაკო კომპოზიტორი იური აკობია 37,5 ქულით მეხუთე ადგილზე გავიდა.

ინტერნეტიდან

## დიდი ფეხბურთი დაგვიბრუნდება

**ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრებისთვის იმაზე დიდი დარტყმა რა უნდა ყოფილიყო, როცა ჩვენი ყველა დონის ნაკრები, საქართველოში რუსეთის ინტერვენციის გამო, ოფიციალურ შეხვედრებს ნეიტრალურ, მაგრამ მაინც უცხოეთის სტადიონებზე ატარებდნენ.** მაგალითად, პირველმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის „საშინაო“ შესარჩევი მატჩი ირლანდიასთან გერმანიაში, ქალაქ მაინცში გამართა, ხოლო ახალგაზრდულმა ნაკრებმა რუს თანატოლებთან – მინსკში.

და აი, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ – ფიფამ მოგვიხსნა ეს აკრძალვა და ნება დაგვრთო, მომავალი საერთაშორისო მატჩები შინ გავმართოთ. ასე იქნება კვიპროსისა და ბულგარეთის ნაკრებებთან მატჩები ოქტომბერში. ისინი თბილისში გაიმართება.

## ლეოპარდი გაახარებთ



**ფეხბურთში მომავალი, 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანაში – სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ტელევიზიის საშუალებით საზოგადოებრიობას წარუდგინეს მსოფლიო ფეხბურთის ამ დიდი დათვალიერების თილისმა – ლეოპარდი ზაკუმი. ამ სახელწოდების ეტიმოლოგია ასეა ჩაფიქრებული: Zakum: პირველი ორი ასო „ZA“ – გამოხატავს სამხრეთ აფრიკას, ხოლო Kum-მრავალრიცხოვან აფრიკულ დიალექტზე ნიშნავს „10“.**

ფეხბურთის კერპების გმირობით აღფრთოვანებული ზაკუმი მწვანე თმებით დაიბადა, რაც მიუთითებს მის სიყვარულს მწვანე გაზონისადმი. როგორც თილისმის წარდგენის ცერემონიაზე ფიფას გენერალურმა მდივანმა ჟერომ ვალკემ განაცხადა, დარწმუნებულნი არიან, რომ ზაკუმთან ურთიერთობა ყველას მოუტანს ბევრ სიამოვნებასა და მხიარულებას.

2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავკაცმა დენი ჯორდანმა კი თქვა: „ზაკუმი სამხრეთ აფრიკის სიამაყეა და იდეალურად შეესატყვისება თილისმის როლს აფრიკაში პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე, ის დაიბადა 1994 წელს – როდესაც დაიბადა სამხრეთაფრიკული დემოკრატია. ის ახალგაზრდა, ენერგიული, ჭკვიანი და ამბიციურია, ჭეშმარიტი ნიმუშია მსოფლიოში ახალგაზრდობისა და მოხუცების მისაბაძად“.

## უეფა გუნდების რაოდენობას ზრდის?

**ამ დღეებში ბორდოში გაიმართება ევროპული ფეხბურთის შტაბის – უეფას აღმასკომის სხდომა. ის განიხილავს ევროპული ჩემპიონატების ფინალური ტურნირების მონაწილეთა რიცხვის გაზრდის შესაძლებლობას.**

ამასთან, სხდომაზე განიხილავენ აგრეთვე 2012 წლის ევროპის ჩემპიონატისათვის უკრაინისა და პოლონეთის მზადების მდგომარეობის საკითხს.

## სილამაზით რომსაც სჯობს?

**ყოველ შემთხვევაში ასე მიაჩნია თავისი თავი ცნობილ პარაგვაელ შუბისმტყორცნელს ლერინ ფრანკოს.**

პარაგვაის ყოფილმა პირველმა ლამაზმანმა პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე თავი გაითქვა თვალსაჩინო სპორტული მიღწევებით კი არა, ის ყველას დაამახსოვრდა თავისი სილამაზით. თანაც ვითომდა რომანით ნოვაკ ჯოკოვიჩთან დიდი ხმაური გამოიწვია პრესაში. თუმცა ბოლოს ორივემ უარი თქვა ამაზე.



ქალიშვილმა, დიდი მორიდებულობით რომ არ გამოირჩევა, საქვეყნოდ დამაჯერებლად გამოაცხადა თავის სილამაზეზე, მიაჩნია რა თავი უფრო მომხიბვლელად,ვიდრე იტალიის დედაქალაქი – რომი.

„ყველაზე ლამაზი რომში ჩემს შემდეგ ფეხბურთის გუნდი „რომაა“. დარწმუნებული ვარ, რომ მას წარმატება მოელის. ბოლო რამდენიმე წელია, ჩემი კერპი ფრანჩესკო ტოტია. იქ ბრაზილიელი მოთამაშის ჟულიო ბაპტისტას მოსვლით გუნდი შეძლებს ყველა დასახული მიზნის მიღწევას!“ – ლამაზმანი სპორტსმენის ნათქვამს ავრცელებს იტალიური პრესა.

◎ პიროვნება

# ხატივით კაცი



**ძმობის რაინდი უწოდა ერთმა მადლიანმა პოეტმა პატიოსნებით გამორჩეულ და კეთილსინდისიერებით ამაგმოსილ მეცნიერსა და პედაგოგს გურამ შენგელიას.**

იგი ინტელიგენტურ ოჯახში აღიზარდა. მამა – ნიკოლოზ შენგელია ექიმი, ხოლო დედა – ქსენია ბარამიძე საქართველოს დამსახურებული პედაგოგი გახლდათ.

1951-1956 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. მისი მასწავლებლები იყვნენ აღიარებული მეცნიერები გიორგი ჩიტაია, ნიკო ბერძენიშვილი, იასე ცინცაძე, გიორგი ნიორაძე, ალექსანდრე (ლალიძ ჯავახიშვილი, გიორგი გოზალიშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე, აკაკი სურგულაძე, ვარლამ დონაძე და სხვები. მშობლიური ლიტერატურისა და ისტორიის სიყვარული ბიძამ, პროფესორმა გრიგოლ ბარამიძემ შთაუნერგა.

გურამ შენგელია 50 წელიწადზე მეტია ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის, ამჟამად ილია ჭავჭავაძის პედაგოგიურ უნივერსიტეტში. მან არაერთ ნიჭიერ ახალგაზრდას დაულოცა გზა მეცნიერებაში.

მისი მეცნიერული მოღვაწეობის აქტივშია 10 წიგნი და ბროშურა, 200-მდე სტატია და პუბლიკაცია.

განსაკუთრებულია მკვლევარის წვლილი ქართული საისტორიო არქივის კვლევის საქმეში, მან სამეცნიერო ლიტერატურაში შემოიტანა არაერთი საყურადღებო ისტორიული დოკუმენტი, რომელსაც ვინ იცის რამდენ ხანს მოუწევდა არქივის საცავებში თვლემა, რომ არა მკვლევარის რუდუნება. იგი საქართველოს ეროვნული არქივის სამეცნიერო საბჭოს და „საისტორიო მოამბის“ რედკოლეგიის წევრია.

მეცნიერული წრთობა გამოჩენილი ისტორიკოსის, საარქივო დარგის ერთ-ერთი ფუძემდებლის პროფესორ შალვა ჩხეტიას ხელმძღვანელობით მიიღო.

საყოველთაო მოწონება დაიმსახურა თეიმურაზ ზურმუხტაშვილთან თანაავტორობით გამოცემულმა წიგნმა „მე საქართველოს გენერალი ვარ – გიორგი მაზნიაშვილი“. ნაშრომს ვრცელი რეცენზია მიუძღვნა პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ (იხ „საქართველოს რესპუბლიკა“, 3 აპრილი, 2007 წ.ძ, ხოლო პროფესორ ელზა ცქიტიშვილის თანაავტორობით გამოცემული წიგნით „მამულიშვილები“ (ისტორიული პორტრეტებიძ, ჰოლანდიელი ქართველებიც დაინტერესდნენ. მისი ნაშრომი „ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში (1907-1917 წ.წ.ძ“ პარიზელმა ისტორიკოსმა ჩარლზ იურევიჩმა სამშობლოში წაიღო და სამაგიდო წიგნად დაიგულა.

გურამ შენგელიას საოჯახო ბიბლიოთეკაში ვხვდებით არაერთ წიგნს, რომლებსაც ავტორისეული მიძღვნა ამშვენებთ. მეცნიერის პიროვნული ხიბლის დასამტკიცებლად მოვიტანთ ორ მათგანს:

მწერალ ილია რურუა წიგნს „ზარდახშაში მთვლემარე ლომი“ ამშვენებს წარწერა: „ბ-ნ გურამ შენგელიას – ერთ-ერთ უკეთილშობილეს კაცს, რომელიც კი ცხოვრების გზაზე საერთოდ შემხვედრია“. ხოლო შოთა ნიშნიანიძის 100 ლექსის თავფურცელზე ვკითხულობთ:




გურამის უმცროსი ძმა, პროფესიით ინჟინერ-მშენებელი თამაზ შენგელია იხსენებს:

„სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში ომგამოვლილი მამის სიცოცხლის უკანასკნელი წუთები. 1953 წლის 12 აგვისტოს საავადმყოფოს პალატაში სულთმობრძავმა გურამთან ერთად ჩემი დასწრება მოისურვა.

მამამ ასე მიმართა გურამს: – შენ უკვე მომესწარი, ვაჟკაცი ხარ, თამაზი კი ჯერ კიდევ ყურადღებას საჭიროებს. აბა შენ იცი, როგორ ძმობას გაუწევ!...

გურამმა მამის ეს ანდერძი პირნათლად შეასრულა!..

* * *

**გურამ შენგელია დღესაც განაგრძობს სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. „არქივის ბინადარი“ ეძიებს და პოულობს.**

**ჯანმრთელობას და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ საქართველოს ისტორიის დაუღალავ მკვლევარს, 75 წლის ხატივით კაცს, რომელიც, ეჭვგარეშეა, კიდევ არაერთ საყურადღებო ნაშრომს შემოგვთავაზებს...**

**სპარტაკ ქოზულია**

ხელოვნება

# ლიანა ჭანტურია

წავიდა ჩვენგან ნათელი სულისა და გონების ადამიანი, შესანიშნავი მოქალაქე და მოამაგე, ღვაწლმოსილი და თავმდაბალი, მუდამ გაწონასწორებული, სიკეთით აღსავსე, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ქალბატონი ლიანა ჭანტურია. მასში განსახიერებული იყო ქართველი ქალის სიწმინდე, ზნეობრივი სიმტკიცე, თავდადება მშობლიური ქვეყნისა და ოჯახისათვის; გხიბლავდა მისი გრძნობა-გონების სისპეტაკე, სხვისი უბედურებისა თუ სიკეთის გაზიარების არაჩვეულებრივი უნარი, ტაქტიანობა და გრძნობის გამოხატვის უფაქიზესი ჩვევა.



ქართულ ინტელიგენციას გამოაკლდა მისი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ქართული წიგნის მოამაგე და ქომაგი.

ქალბატონმა ლიანამ ცხოვრების მეტად რთული და საინტერესო გზა განვლო. ახალგაზრდობიდანვე აქტიურმა საზოგადოებრივმა საქმიანობამ იგი ჩამოაყალიბა კარგ ორგანიზატორად.

1964 წლიდან მუშაობდა „ცეკავშირის“ წიგნით ვაჭრობის სამმართველოს უფროსად, 1995 წლიდან კი – საქართველოს ი.ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის რესპუბლიკური გამგეობის მთავარ სპეციალისტად საორგანიზაციო მუშაობის დარგში.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით აშენდა და გაიხსნა არაერთი წიგნის მაღაზია და სავაჭრო ცენტრი რეგიონებში, ქალაქებში, სოფლებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში; ტარდებოდა შეხვედრები მწერლებთან, მეცნიერებთან, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან; ეწყობოდა წიგნის დღესასწაულები, კონკურსები, გამოფენები, იქმნებოდა მწიგნობართა კლუბები. ქალბატონი ლიანა ერთგულად ემსახურებოდა მოსახლეობაში წიგნიერების დონის ამაღლების საქმეს.

ღირსეული შრომისა და მოღვაწეობისათვის იგი დაჯილდოებული იყო ორდენებით, მედლებით, სიგელებით. 1999 წელს მიენიჭა ღირსების ორდენი წიგნის პროპაგანდისა და რეალიზაციის საქმეში აქტიური მოღვაწეობისათვის.

ჩაქრა კიდევ ერთი სიკეთით გასხივოსნებული სიცოცხლე.

ქალბატონი ლიანა იმ ღირსეულ ადამიანთაგანი იყო, ვისი გარდაცვალებაც მძიმე და გამოუსწორებელ ტკივილს ტოვებს.

**საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია.**

**საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის რესპუბლიკური გამგეობის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან**
**ლიანა ჭანტურიას**
**გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

**ანზორ და დიანა შონიები, შვილები ქეთინო, ნანა, მედიკო თანაგრძნობას უცხადებენ მაია და მურმან ჯინორიებს დედის, დიდებული ქალბატონის**
**ლია ჭანტურია-ეთერიას**
**გარდაცვალების გამო.**

**უახლოესი მეგობრები მადონა ბერაძე, ნელი გურგენიძე, გულიკო დემურია, ლულუ ებრალიძე, ნათელა ვასაძე, ეთერ თოფურია, ნანა კეცხოველი, ცაბუ კეკელიძე, ლეილა კიკნაძე, ნათელა ლაღიძე, თამილა მაჭავარიანი, მედეა მეზვრიშვილი, ლია ნადარეიშვილი, ლეილა სადრაძე, ვიქტორია სირაძე, ცისანა ჩიხლაძე, რუსიკო ხანთაძე, ვიოლა ჯაფარიძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ**
**ლიანა ჭანტურიას**
**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

**ძვირფასო მკითხველო!**

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge
ტელეფონი:
98-65-87 (89932.85.76ძ.
ფაქსი: 98-65-87.

◎ საიდუმლო სამსახური

# რუსეთის საეჭვო დუმილი და მოტყუებული ქართული დაზვერვა

(მეცხრე გვერდიდან)

## მოჩვენებითი დუმილი

**უშიშროებისა და დაზვერვის დასავლეთელი ზოგიერთი რუსი ექსპერტი და სპეციალისტი აცხადებს, რომ ეს იყო რფ-ს ხელისუფლების ჩვეულებრივი რეაქცია. ხომ არ იტყოდნენ, რომ ქართული დანაყოფები ცხინვალზე იერიშისათვის ემზადებოდნენ. ტექნიკის დაძვრა მოვლენების განვითარებამდე აშკარად გამოიწვევდა იმ გეგმის ჩაშლას, რაც რფ-ს ხელისუფლების მითითებით ფსბ-მ და გრუ-მ მოამზადეს.**

სპეციალისტების აზრით, ფსბ-ს ჰქონდა ფართომასშტაბიანი აგენტურული ქსელი. მან შეაღწია სამთავრობო და ძალოვან სტრუქტურებში. აგროვებდა ნებისმიერ ინფორმაციას ეკონომიკური, ფინანსური და სამხედრო სფეროების შესახებ. ინფორმაციები გროვდებოდა საჯარისო ნაწილების მოსამსახურეთა მორალურ განწყობილებაზეც. ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ეს მოღვაწეობა მომავალში უფრო მასშტაბური გახდება. საქართველოს შიდა მდგომარეობის გარდა რუსული დაზვერვა გააქტიურებს მოღვაწეობას საზღვარგარეთაც, კონტრდაზვერვის პროპაგანდის, დეზინფორმაციის სახით.

როგორც ექსპერტები ამტკიცებენ, გრუ-ს აქვს სპეციალური დირექტივა ნებისმიერი გზით საქართველოს ხელისუფლების დამხობისა... პროვოკაციების მოწყობას, სხვადასხვა მმართველ სტრუქტურებში შეღწევისა და საერთოდ აგენტურული ქსელის გაფართოების მიზნით, მიმართული მუშაობა ამ უწყებაშიც გაძლიერდება. გაფართოვდება რეზიდენტების ქსელიც.

რუსული სადაზვერვო სამსახურების მუშაობაში დაშვებული ძირითადი შეცდომა ის არის, რომ მათ და მთლიანად კრემლის „ვერხუშკამ“ არ გაითვალისწინა აშშ-სა და ევროპის მოსალოდნელი რეაქცია – თვლიან დასავლეთელი პროფესიონალები და იქვე დასძენენ, რომ რუსეთს საქართველოს ანექსია უმოკლეს დროში უნდა მოეხდინა, როგორც ეს აშშ-მ გააკეთა ერაყში. მაგრამ კგბ-შნიკებს გათვლებში რაღაცები შეეშალათ.

დღეს, როდესაც საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდა ევროკავშირს, გამოუჩნდა სანდო პარტნიორი აშშ-ს სახით, რეალურად დადგა მისი ნატოში შესვლის საკითხი, რუს სპეციალისტებს აუცილებლად მოუწევთ საქმიანობის სტილის შეცვლა, დაზვერვითი მექანიზმის გადაწყობა – ასკვნიან დასავლეთელი ექსპერტები.

## რაში მოტყუვდა ჩვენი დაზვერვა

**საქართველოს პოლიტიკური, სამხედრო და ა.შ. ისტებლიშმენტი, როგორც ჩანს, სწორედ საკუთარი დაზვერვის არაპროფესიონალიზმმა და რუსული კგბ-ს, ამ მონსტრის გადმონაშთის დიდმა გამოცდილებამ შეიყვანეს შეცდომაში. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, თვლიან ევროპელი ანალიტიკოსები.** საქართველოს დაზვერვა ფეხს იდგამს. მისი ამჟამინდელი არაპროფესიონალიზმის ძირითადი მიზეზია ის გაუმართლებელი საკადრო ცვლილებები, რომლებიც ქვეყნის ძალოვან, განსაკუთრებით დაზვერვის სამსახურებში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გატარდა, განსაკუთრებით, ბოლო 4-5 წლის განმავლობაში. პროფესიონალების ერთი ხელის მოსმით ქუჩაში გაყრა, იმ მოტივით, რომ ისინი თავის დროზე სსრკ-ს კგბ-ს თანამშრომლები იყვნენ, არ აღმოჩნდა გამართლებული ნაბიჯი. ახლადმოსულებმა რთულ ვითარებას ალღო ვერ აუღეს, – თვლიან სადაზვერვო საქმის პროფესიონალები და იქვე ამატებენ, რომ სადაზვერვო სამსახურის პრინციპებიდან გამომდინარე, „ყოფილების“, თუ კი ისინი ადრე კგბ-სთან თანამშრომლობდნენ, უმეთვალყურეოდ მიტოვება არა თუ მიზანშეწონილი არ არის, არამედ სახიფათოცაა. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ძლიერი დაზვერვის სამსახურების მქონე ქვეყნებში ქართველი კოლეგების მივლინება, მალე გამოიღებს სასურველ შედეგებს.

საზღვარგარეთელი სპეციალისტები თვლიან, რომ ქართულმა სპეცსამსახურებმა მართლაც დაიწყეს რუსეთის ტერიტორიიდან გარკვეული ინფორმაციების შეგროვება-მიწოდება. მაგრამ მათი აგენტურული ქსელი მალე გადაფარეს რუსულმა ანალოგიურმა სამსახურებმა. ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ქართული მწირი საჯაშუშო ქსელი, რეზიდენტთა უმრავლესობა, რუსებმა ან თავიანთ სამსახურში ჩააყენეს ან გაშიფრეს. ორივე შემთხვევაში შეგნებულად და ფარულად ქართულ მხარეს მომუშავეთ აძლევდნენ არასწორ, დამახინჯებულ ინფორმაციებს, ასეთი სახით ღებულობდა მათ თბილისი, სახელმწიფო და ძალოვან სტრუქტურებში ჩაწერილ რუს აგენტებს მათი რეზიდენტები აძლევდნენ მოსკოვიდან მიღებული ინსტრუქციების შესაბამის ინფორმაციებს. ესეც ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში იყრიდა თავს. ქართველმა სპეცსამსახურებმა იმის თაობაზეც ვერ მიაწოდეს ხელისუფლებას ინფორმაცია, რომ ცხინვალში სროლების დაწყებამდე 20 წუთით ადრე რუსეთის ჯარების ცოცხალ ძალასა და სამხედრო ტექნიკას უკვე გადმოლახული ჰქონდა რიკოთის გვირაბი და საქართველოს ტერიტორიაზე (სამხრეთ ოსეთშიძ იყო განლაგებული, ნაწილი შეიარაღებისა კი გზაში იყო.

**როგორც რუსი, ისე დასავლელი ექსპერტები, სპეციალისტები, ანალიტიკოსები ერთხმად აცხადებენ, რომ შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე (საქართველო-რუსეთიძ ქართულ მხარეს პირწმინდად ჰქონდა წაგებული სადაზვერვო ომი. ეს აისახა პოლიტიკოსთა გადაწყვეტილებებშიც. ქართველები რუსეთის კარგად დაგეგმილ პროვოკაციას წამოეგნენ.**

**ზაზა ბილიხოძე**

◉ მეგობრობა გზად და ხიდად

# საქველმოქმედო კონცერტი პოლონეთში



**ბატონო რედაქტორო, გიგზავნით ინფორმაციას, რომელიც არც ერთმა ქართულმა გაზეთმა არ გამოაქვეყნა. დაე, საქართველოს მცხოვრებმა ომის შედეგად დაზარალებულებმა თქვენი გაზეთით გაიგონ, რომ პოლონეთის ქალაქ ლოძში არიან მათთვის უცნობი ადამიანები, როგორც პოლონელები, ასევე ქართველები, რომლებმაც გაიზიარეს მათი ტკივილი და მწუხარება. წავიკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ინფორმაცია, რომ გაიხსნა „პოპულის“ ახალი სუპერმარკეტი თბილისში. ეს, რა თქმა უნდა კარგია, მაგრამ მათ ჩვენი ინფორმაცია უფრო გაუხარდებათ.**

**ლოძის ფილარმონია სავსე იყო ხალხით, გუგუნებდა ქართული და უცხოური სიმღერები, მღეროდნენ საქართველოსთვის, მათი ტკივილისა და ნუგეშისცემისთვის.**

**ჩვენ ინტერნეტის საშუალებით ვკითხულობთ თქვენს გაზეთს, გვიყვარს თქვენი გაზეთი, იმედი გვაქვს უყურადღებოდ არ დატოვებთ ჩვენ ინფორმაციას.**

სექტემბრის დასაწყისში პოლონეთის ქალაქ ლოძში, ა.რუბინშტეინის სახელობის ფილარმონიაში საქველმოქმედო კონცერტი ჩატარდა საქართველოში ომის შედეგად



დაზარალებულთა დასახმარებლად.

კონცერტში მონაწილეობდნენ ქალაქ ლოძის ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი დირიჟორ მ.ვოლნუვსკის ხელმძღვანელობით, აგრეთვე სოლისტები: ხატია ბუნიათიშვილი (პიანისტი), დოროტა ვუიჩიკი (სოპრანო), გიორგი გაბელაია (ტენორი), ნანა ოდილავაძე-ულანსკა, ლოძის ფილარმონიის დირექტორი ა.სულეკი, იერზი კოზა და ინგა ბერძენიძე.

კონცერტის წინა დღეს პოლონელი, ქართველი და სხვა ეროვნების ადამიანები, სპეციალურად დამზადებულ მაისურებში გამოწყობილნი აგროვებდნენ თანხას საქართველოს დასახმარებლად. აღსანიშნავია, რომ პიანისტი ბუნიათიშვილი, მისი დატვირთული საკონცერტო გამოსვლების მიუხედავად, სპეციალურად ჩამოფრინდა ვენიდან, რათა ამ საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობა მიეღო. პიანისტმა ღირსეულად დაიმსახურა მაყურებლით სავსე დარბაზის ოვაცია. ასევე ოვაცია დაიმსახურა საქართველოდან ჩამოსულმა ოპერის სოლისტმა გიორგი გაბელაიამ, ხუთი შვილის მამამ, რომელიც უკვე მეორედ წარსდგა პოლონელ მაყურებელთა წინაშე ლოძის ოპერის სოლისტ დოროტა ვუიჩიკთან ერთად.

შეგროვილი თანხა და სოლისტთა ჰონორარი მთლიანად საქართველოს მოხმარდება.

**პოლონეთში მცხოვრები ქართველების სახელით კონცერტმეისტერი**
**ნანი ოდილავაძე-ულანსკა**
**პოლონეთი. ლოძი.**

◉ ომი ყველაფერს ჩამოწერს?

**გორელი მწერლის გერონტი გოგინაშვილის რომანი „დაწყევლილნი“ შარშან დაისტამბა. მასში ცხინვალთან ახლო მდებარე ქართულ სოფელში, ტირძნისში, გასული საუკუნის დასაწყისში რუსი სალდათების მიერ დატრიალებული ტრაგედიაა ასახული. ერთი საუკუნის შემდეგ ამ ამბებიდან, გასულ შაბათს, გერონტი გოგინაშვილი ტირძ-**




**ნისში მიმავალ „მარშრუტკაში“ ჩაჯდა და მამაპაპისეული სახლისკენ გასწია.**

**წასვლის წინ დამირეკა.**

— ბავშვივით მიმიხარია. თან შიში მაქვს. ომი ისე დაიწყო და დამთავრდა, ჩემი სახლის შესახებ არაფერი მსმენია. ვინ იცის, იქნებ მიწასთანაცაა გასწორებული.

შუადღე გადასული იყო, რომ კვლავ გაისმა სატელეფონო ზარი.

— ეს წუთია ჩამოვედი. ნეტავ არ წავსულიყავი, — მითხრა მწერალმა, — კარალეთის პოსტი მშვიდობით გავიარეთ, ქიწნისიც. ტყვიავს რომ გავცდით, შორს ხალხი დავინახეთ. მძღოლმა, რაღაც უბედურებააო და მანქანა გზისპირზე გადააყენა. ზემოდან მორბოდნენ ფეხით, ურმით, ცხენით, საზიდარით, ტრაქტორით, ვისაც რით შეეძლო. ისმოდა ქალების ყვირილი: „გვიშველეთ, გვიშველეთ!“ მაგრამ მშველელი არ ჩანდა.

სასწრაფოდ ყველანი ავტობუსიდან ჩამოვედით.

— რა მოხდა, ხალხო. აღარ იტყვით?!

— რუსები ტირძნისის პოსტიდან აიბარგნენ. იმათი წასვლა იყო და ოსები დაგვეცნენ. იტაცებენ საქონელს, ძარცვავენ და წვავენ სახლებს. მომეტებულად ოსის ქალები იქცევიან სასტიკად. არც ნაცნობობა, არც ნათელ-მირონობა, და აღარც ნათესაობა ყოფილა თურმე!

ავტობუსში, რამდენიც კი შევძელით დავრდომილი მოხუცები და ბავშვიანი ქალები ავიყვანეთ, მანქანა რის წვალებით მოვაბრუნეთ და უკან გამოვწიეთ. ჩამოვედით კარალეთის პოსტზე. ჩვენი პოლიცია კი შექუჩულიყო, მაგრამ რუსები ტორძნისისაკენ არ უშვებდნენ — საამისო განკარგულება არ მიგვიღიაო. ამასობაში კი ოსები მეღვრეკისსა და ტირძნისს უმოწყალოდ ძარცვავენ. რომელი არ ეხერხებათ!

მზაკვრობა რუსული ხასიათის თანამგზავრია. მომხვდურს ჯერ კარალეთის პოსტი უნდა დაეტოვებინა, რომ იქ ქართული პოლიცია შესულიყო და თანდათან ტყვიავიტირძნისისაკენ გადაინაცვლებდა. რუსები (შეგნებულად!ძ პირიქით მოიქცნენ: ტირძნისიდან გავიდნენ და ჩვენი სოფლები კარალეთამდე ასაკლებად და საძარცველად თავიანთ „სტრატეგიულ მოკავშირეებს“ — ოსებს დაუტოვეს.

Коварство რუსული სიტყვაა და ქართულად ვერაგობას, მზაკვრობას ნიშნავს.

**გურამ ვაშაკიძე**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

◉ ანეკდოტები

ერთხელ კარლსონი სარკმელში გაიჭედა. ასე გამოიგონეს პირველი კონდიციონერი.

* * *

— ალო, ეს მილიციაა? — ისმის ტელეფონში ქალის სასიამოვნო ხმა.

— დიახ, მილიციაა.



— ეს თქვენი განყოფილებიდან გაიქცა ამ სამი დღის წინათ სექსუალური მანიაკი?

— დიახ, დიახ ჩვენგან გაიქცა, — დაღლილი ხმით უპასუხა მილიციელმა,— თქვენ რა გნებავთ?

— მინდა გითხრათ, რომ არ ინერვიულოთ, მე მას ხვალ დაგიბრუნებთ.

* * *

— მამაო, მკვდართან საუბარი შეიძლება?

— რა თქმა უნდა! ოღონდ კითხვაზე არ გიპასუხებს.

* * *

დავბრუნდი შვებულებიდან და ვგრძნობ, რომ რაღაც ისე არა ვარ... წავედი გასასინჯად. ვიყავი ნევროპათოლოგთან — ნერვები წესრიგში მაქვს. ჩავაბარე სისხლის ანალიზი — ალკოჰოლი ნორმაშია. ვენდისპანსერს მივაკითხე — ვენერიული დაავადება არა მაქვს... მოკლედ სრული კატასტროფაა! თითქოს ზღვაზე არც დამისვენია.

* * *

— შენი პირველი კოცნა გახსოვს?

— პირველი კოცნა კი არა, ჩემი პირველი ქმარიც არ მახსოვს.

◉ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.